



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A I

1937 - № 135

მაისი
1937 წ.
№ 135

დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—დამოუკიდებლობის წლისთავი.
კავკასიის ხალხებს.
ნ. ყორღანია—«ვეფხის ტყაოსანის» საკითხები.
უცხოეთის მიმოხილვა.
რას სწერენ სომხური გაზეთები.
გერმანული პრესა.

ყ—ბერლინი და მოსკოვი.
ალ—ნი—პროფ. სლავენკის მოხსენება.
ნაუტი—წერილი ამერიკიდან.
ვარ. გუნია—26 მაისი.
წერილი საქართველოდან.
საქართველოს ამბები. და სხვა.

დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს წ ლ ი ს თ ა ვ ი

ცხრამეტი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც ჩვე-
ნმა ერმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაც-
ხადა და შეუდგა თავის სახელმწიფოს თანამედროვე
ევროპიულ პრინციპებზე აგებას. იშვიათი უნარი
და გამჭრიახობა გამოიჩინა მანამ დიდ და საშვილი-
შვილო საქმეში. საუკუნეთა მანძილზე დაქსაქსული,
ერთ საუკუნეზე მეტი ყოველგვარ სახელმწიფოებ-
რივ შემოქმედებას ჩამოშორებული, საქართველო
აღსდგა, როგორც მთლიანი ერთეული, და მისი
შვილნი, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა,
მინც აღწევენ მათ წინაშე დამდგარ მძიმე ისტო-
რიულ ამოცანის სასახლოდ გადაჭრას.

მაგრამ ეს არ იყო სასწაული, არც მოჩვენება.
ქართველი ერი უკვე არსებობდა არა მარტო ფიზი-
კურად, სულიერად, კულტურულად, იდეურად; მას
უკვე ჰქონდა თავისი ნებისყოფა, აკლდა მხოლოდ
ორგანოები, მისი მატარებელი: სახელმწიფო. 26 მა-
ისის ერის ნებისყოფა სახელმწიფოს ხელისუფლებად
იქცა, გამრთელდა ვაწყვეტილი ძაფი სახელოვან წა-
რსულსა და იმედებით აღსავსე აწმყოს შორის და
ქვეყანას უზენაესობის შარვეანდელი გადაეცინა.

როგორ შეხვდა ამ ფაქტს დაწინაურებული მსო-
ფლიო? რყევით, იჰვით, ცნობისმოყვარეობით...
მას არ გაეგონა საქართველო, ან კიდევ დავიწყებას
მისცემოდა მისი სახელმწიფოებრივი არსებობა,
მტერს იგი პოლიტიკურ რუკიდან ამოეგდო. და აქ
კი მართლა მოხდა სასწაული: ერისა და ხელისუფ-
ლების შემოქმედება იმდენად თვალსაჩინო გამოდ-

გა, რომ ჩქარა მიიპყრო უცხო სახელმწიფოთა ყუ-
რადღება, აქედან მათ მიერ ჯერ ფაქტის, მერმე უფ-
ლების ცნობა სრულიად ბუნებრივი გახდა. საქარ-
თველო შევიდა, როგორც სრულყოფილიანი წევრი,
თავისუფალ ერთა ოჯახში, და მისმა დამფუძნებელ-
მა კრებამ პირველმა მიიღო თავისი კონსტიტუცია.

ეს შესანიშნავი აქტი, როგორც მოწმობს ტრა-
დიკულად გარდაცვლილ კარლო ჩხეიძის წინასიტ-
ყვაობა, «მტრის ზარბაზნების ქუხილის ქვეშ» მოხდა.
დიხს, რუსეთმა არ დაინდო მის მიერ ფორმალურად
ცნობილი საქართველო, ბოლშევიკებმა ისეთივე
სივერაგით გასტეხეს სიტყვა, როგორთაც რომანო-
ვებმა, და ჯერ ახლად აღდგენილი სახელმწიფო მო-
ნობის უღელში შეაბეს. ჯერ მათ შესძლეს კავკასიის
ფედერაციის დაშლა, რომლის საძირკველი ქართვე-
ლმა ერმა ჩაყარა, შემდეგ სათითაოდ გასრისეს ოთ-
ხივე რესპუბლიკა. ომში გამარჯვებულმა სახელმწი-
ფოებმა არამც თუ დახმარება არ გაუწიეს ამ რესპუ-
ბლიკებს, თავისი მერყეობით, უსისტემო პოლიტი-
კით და ურთიერთი ქიშპობით, უნებურად, ხელი
შეუწყვეს მოსკოვის მსუხანგ განზრახვებს...

მეორდება იგივე ამბავი, რაც ქართველ ერს არა
ერთხელ გამოუცდია საუკუნეთა განმავლობაში.
მტარვალნი სჩაგრავს, აწამებს ერს; ერი ეწინააღმდე-
გება, ებრძვის მას და სამშობლოსთვის ზვარაკად
მიტანილ მის სასიქადულო შვილთა რიცხვი არ
კლებულობს, მატულობს. მთელი ქართველი ერი
იქ და მისი შვილები აქ მუხლს იდრეკენ მოწიწებით

მათ წინაშე და ფიცს სდებენ განაგრძონ მათი ბრძოლა 26 მაისის დროშის ქვეშ.

როგორი პირი უჩანს ამ ბრძოლას, ან კიდევ როგორია ჩვენი პერსპექტივები? პირველი, რაიცა ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, და რასაც ბრმანიც ვერ უარყოფენ, არის ეროვნულ მოძრაობის არაჩვეულებრივი ზრდა მთელს საბჭოთა კავშირში. საყურადღებოა, რომ მისი მძლავრი ტალღები თვით ფანატიკოს არარუს ბოლშევიკებს ითრევს თავის ზვირთებში. უსმინეთ, მაგ., ბუდუ მდივანს და კომპანიას, სტალინის მეგობრებს წარსულში, რაკილოსია მათი ამოძახილი გეპეს ჯურღმულიდან! ან კიდევ, როგორ საცლადავად იზოლტავს თავს წითელი ჯარის გზირი ფილიპე მახარაძე, საქართველოს «მთავრობის» პირველი თავმჯდომარე, იმ ხანად სრულიად უცნობ ბერიას ძმა-ბიჭების წინაშე. ასევეა კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც. უკრაინაში, თურქესტანში, ყველა არარუს მხარეებში. თვე ისე არ გაივლის, იქაურ კომუნისტურ პარტიაში, მათ ცენტრალეებში სასტიკი «წმენდა» რომ არ მოხდეს, და ბრალდება ყველგან ერთი და იგივეა: «გადახვევა» გენერალურ რუსულ ხაზიდან, ნაციონალიზმი, შოვინიზმი.

მოსკოვი მთელს ამ ეროვნულ მოძრაობას «ტროცკიზმად» ნათლავს, მაგრამ ეს ხერხი არ სჭრის თვით რუსის ხალხშიც, რადგან ცხოვრება მარჯვნივ იხრება და არა მარცხნივ, რასაც ასე ნათლად ამტკიცებდა მოსკოვის პროცესები. რა ბრალდებას უყენებდენ ზინოვიევს, რადეკს და სხვებს? ქვეყნის ლალატს, კაპიტალიზმის აღდგენის ზრახვებს. ტროცკის «პერმანენტულ რევოლიუციას» თვითონ საბჭოთა ხელი-სუფლება ებრძვის, ესწრაფვის მის გათავებას, ამიტომ სპობს ყველა იმათ, ვინც მარტო თავის ფიზიკური არსებობით ამხელს კრემლის შავ საქმეებს.

«ტან»-ის კორესპონდენტი იწერებოდა, რომ სტალინის უდიდესი ცდა ამ ქამად რევოლუციის დაბოლოვებისკენ არის მიმართულიო. კერენსკის და დანის გამოცემები კი ირწმუნებიან საბჭოთა კავშირი გაუგონარ რევოლუციურ კატასტროფის წინა სდგასო. ვინაა მართალი, ფრანგი თუ რუსები? ორივენი, ჩვენის აზრით.

ხელისუფლების სწრაფი და სასტიკი ზომები, რათა განდევნილ იქნან პარტიულ და სახელმწიფოებრივ ორგანოებიდან, სამეცნიერო და სამწერლო ასპარეზიდან «ტროცკისტები», ნამდვილად კი ძველი სკოლის ბოლშევიკები-რევოლიუციონერები, უკვე ცხად ჰყოფს ფრანგის მოწმობას. მაგრამ რუსის ემიგრანტებიც მართალი არიან, როცა ამბობენ,

რომ სტალინის ჭაპან-წყვეტა ამაოა, ის ვერ აიცდენს კატასტროფას. განა მან არ შემოიღო ახალი ტერმინი: «უპარტიო ბოლშევიკი»? ვინაა ეს? ბიუროკრატია. სად და როდის უხსნია ბიუროკრატის რეჟიმი?

ამ პირობებში ჯარისა და სარდლობის როლი სრულიად განსაკუთრებულია, და ჩვენ უკვე ვხედავთ, როგორ ლამობს სტალინი მათი ხელში ჩაგდებას. მან თავიდან მოიცილა ერთი საეპეო სარდალი, გამოსული მაღალ წოდების წრიდან და მოსალოდნელი მეტოქე, მარშალი ტუხაჩევსკი; შემოიღო სამხედრო საბჭოთა და კომისრების ინსტიტუტი თვითეულ ოლქში და სპობს ჯარში «პოლიტრუკებს» კომუნისტებისაგან; მას არა აქვს ნდობა გეპეუსი, მეთვალყურობა ჯარისა, ამ რიგად, თვითონ აიღო ხელში. ეს ცვლილება სულ ჩქარა იურიდიულ ფორმაში ჩამოსხმება, როცა არჩევნები მოხდება, ახალი კონსტიტუციის ძალით. მაშინ მოხდება არჩევა კავშირის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარისა თავისი განუსაზღვრელი უფლებით. სტალინი, სახელმწიფოს მეთაური, ავტომატურად მთელი სამხედრო ძალების უზენაეს მბრძანებლად იქცევა.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს აქვე, რომ ტერმინდორი კარგა ხანია დაიწყო საბჭოთა კავშირში. სტალინის ეს უკანასკნელი სასტიკი ზომები მხოლოდ მის დასრულებას ლამობს. ამით აიხსნება რუსული ნაციონალიზმის, იმპერიალიზმის რეაბილიტაცია, სამხედრო კავშირები და უსაზღვრო სამზადისი გარდაუვალ ომისათვის, სოციალური კითხვების მიჩქმალვა, ნაციონალურის წინ გამოშვება.

კატასტროფა მართლა მოახლოებულია, ამაში თანახმა არიან როგორც მართველნი, ისე ქვეშევრდომნი. არარუსის ერთი სულგანაბული ელიან ამბების განვითარებას შინ და გარედ, როცა მათთაც მოუხდებათ რევოლუციური ჩარევა თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალების გასანადგებლად.

მაშასადამე, 26 მაისის მე-19 წლის თავზე ხელახლავ ისმის საბედისწერო კითხვა, შესძლებენ თუ არა კავკასიის ერები ერთად დარაზმვას, ერთად გამოსვლას თავის საერთო სამშობლოს უცხო ქვეყნის მონობისგან განსათავისუფლებლად, თვითეულის დამოუკიდებლობის აღსადგენად და ყველასი ერთი კონფედერაციულ ჰერ ქვეშ უზრუნველსაყოფელად. ქართველი ერის და მის ხელმძღვანელთა დიდი საპასუხისმგებლო როლი ამ კითხვის დადებითად გადასაჭრელად იმდენად აშკარაა და უდაო, რომ ჩვენ მარტო ისდა დავგზრჩენია, რომ აღზნებულად ვუსურვოთ მათ მისი სასიქადულოდ შესრულება.



კ ა ვ კ ა ს ი ი ს ხ ა ლ ხ ე მ ბ ს

ამ ცხრამეტი წლის წინეთ, აყვავებულ მაისის თვეში კავკასიის კიდის-კიდემდე გაისმა ხალხთ ბო- რკილის ხმა მტვრევისა.

კავკასიის ერთი უცხო უღელში შებმულნი, უც- ხო ჯაჭვით დაბმულნი, ერთსულფვანათ დგებიან და თავისუფლების დრომით საერთაშორისო სა- რბიელზე გამოდიან.

თვითეული ერი, ისტორიულ წარსულში დაქსა- ქსული, აუწერელი აღფრთოვანებით და თავის და- დებით ერთდება, კუთხურ და პროვინციულ ურ გან- კერძობას ეთხოვება და მთლიან ერთეულათ. ქირ- ში და ლხინში განუყრელათ ქვეყანას ვეღვინება.

იშვა კავკასიის დამოუკიდებელი, სუვერენული, ნაციონალური რესპუბლიკები.

მოწინავე კაცობრიობამ მათ უსურვა კეთილი მობრძანება.

ვერაგი მტერი მათ შორიდან უთვალთვალედა. მონარქიული თუ ბოლშევიკური მოსკოვი ამ ხალხ- თა აღდგომას ერთნაირათ უარყოფითად ეპყრო- ბოდა.

პირის პირ დადგა ორი ქვეყანა, ორი დროშა: კა- ვკასია და რუსეთი, თავისუფლება და მტარვალობა.

კავკასიამ დაკარგა თავისუფლება, მასზე გაიმა- რჯვა მტარვალობამ.

რატომ? ერთი მიზეზით, აღორძინებული ერების ცალ ცალკე დგომით, ერთმანერთთან დაუკავშირე- ბლობით.

მივიდეთ მწარე გამოცდილება და გამოჩნდა გზა ჩვენი გამარჯვების.

კავკასიის ერთა კონფედერატიული კავშირი, კავკასიის საერთო განმათავისუფლებელი ორგანი- ზაცია არის ერთათ ერთი დასკვნა მიღებული ისტო- რიული გაკვეთილის. საერთო ძალღონით ავშენდე- ბით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით. იშვა კავკა- სიის კონფედერაციული საბჭო და ააფრიალა თავი- სუფალი კავკასიის დროშა.

რას ვეშყარებით, რის იმედით ვიბრძვით?

ჩვენი მთავარი ფუძეა ორნაირი: ჩვენი ხალხების მტკიცე ნებისყოფა იყვენ თავისუფალნი და საბჭო- თა ტირანიის დანგრევის აუცილებლობა.

და მართლაც, ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით ჩვენი ხალხების მორალურ სიმაგრეს, პოლიტიკურ სიმ- ტკიცეს, ბრძოლას და თავის დადებას, მეორე მხრით კი მტრის ბანაკის არეულობას, ერთიმეორის ულე- ტას, მორალურათ დარღვევას და დაძაბუნებას.

თექვსმეტი წლის ტირანიამ თავისუფლების მო- ყვარული კავკასია ვერ გასტეხა, აწრი დაგზაკვალრი

ვერ აუბნია და მოსკოვი ვერ შეაყვარა. დღესაც ის დგას იქ, სადაც იდგა დამარცხების პირველსავე დღეს—თავისი ვინაობის სადარაჯოზე, მტკიცეთ და ურყევათ. მაისი მისი ფარანია, თავისუფლება მისი დაუწეველი დროშაა. ჩვენ ხალხთ აქეთ დრმა რწმენა თავის თავში, თავის იდეალში, თავის გამარ- ჯვებაში. ეს აძლევს მათ მხნეობას, გაუტეხელობას, უშიშრობას. ისინი, ცალ-ცალკე და ყველა ერთათ, ამ ნიადაგზე გაერთიანებულა; მათი ბანაკი შეკრუ- ლია, მისგან მოსკოვის აგენტები გარიყულია.

კავკასიის ხალხთა ნაციონალური ფრონტი დღეს ფაქტია; ამ ისტორიული ერთობის ამრევენი, შიგნი- დან მისი ამშლელნი და განხეთქილების მოციქულ- ნი კავკასიის საქმეს არ ემსახურებიან, ისინი მეტრ- ძოლ ხალხებიდან მოწყვეტილია და მტრის ბანაკში გადარიცხულია. მთლიანი კავკასიის მთლიანი ფრო- ნტი ჩვენი დროშის გზადახილია.

კავკასიის ძალთა გაერთიანებას მოითხოვს არა მარტო წარსულის გაკვეთილი, არამედ კიდევ უფრო მეტათ აწმყოს პერსპექტივები. საბჭოთა ხელისუფ- ლება ჩქარის ნაბიჯით მიექანება დალუბვისაკენ, ის სასიკვდილოთ განწირულია, ვინ იქნება მისი მემ- კვიდრე, რანაირი მართველობა დამყარდება მის ნა- ნგრევეზე—ეს ჩვენთვის უდიდესი საჭირობოროტო სა- კითხებია. დღევანდელ ტირანიას შესცვლის მეორე ნაირი ტირანია, წითელ იმპერიალიზმს შავი იმპე- რიალიზმი თუ ამ გარდატეხიდან გამოვლენ გამარ- ჯვებულნი დამორჩილებული ხალხები, მოიპოვებენ ისინი თავისუფლებას და დამოუკიდებლობას—აი მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა. კავკასიის ერთობა, ყველა ჩაგრულ ხალხებთან და ერებთან დაკავშირება—ერთათ ერთი საშუალებაა ამ ამოცა- ნის ჩვენ სასარგებლოთ გადაწყვეტის.

კავკასიის კონფედერაციის საბჭო მოუწოდებს კავკასიის ხალხებს დაგროვდენ ერთი დროშის ქვეშ, შეხედდენ მზათ ისტორიის დაძახებას და ხელი-ხელ გაყრილნი გასწიონ ბრძოლის და თავისუფლები- საკენ.

ძირს მოსკოვის უღელი,
გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას,
გაუმარჯოს კავკასიის მთლიან ფრონტს!
გაუმარჯოს დამოუკიდებელ კონფედერატიულ
კავკასიას!

კავკასიის კონფედერაციის საბჭო.

მა ის ი
1937

«ვეფხისტყაოსანი»-ს საკითხები

3. შედარებანი.

ვეფხისტყაოსანის ჯგეროვანთ დაფასების და გაგების მიუცილებელი საშუალებაა მისი შედარება სხვა განთქმულ პოემებთან, რომელნიც დაიწერა ევროპაში რუსთაველის ეპოქაში, დაახლოებით მე-11-13 საუკუნეებში. ამით ჩვენ დავინახავთ მათ შორის მსგავსებას და განსხვავებას და გავითვალისწინებთ იმ ადგილს, რომელიც მათ უჭირათ ისტორიაში.

ასეთი პოემები ბევრი არ არის. მათი რიცხვი ჩამოითვლება სამ თითზე. სიმღერა როლანზე, დაიწერა საფრანგეთში მე-11 საუკ. გასულს, ტრისტან და იზოლტა, ბრეტონულ-ალჰასური თხზულება, გამოვიდა მე-13 საუკ. დასაწყისში და იმავე ხანის გერმანელთა ნიბელუნგენი. სამივე ეს ითვლებოდა და ითვლება საშუალო საუკუნეთა საუკეთესო ნაშრომად, იკითხებოდა იმ დროს გატაცებით, იკითხება დღესაც და ასწავლიან სკოლებში. მათი ფაბულა აღებულია ძველი გადმოცემებიდან, აწერილია ძველი ამბები, მაგრამ ამ ფორმაში გამოხატულია საშუალო საუკუნეთა სოციალური წყობა და იდეოლოგია. ერთთ-ერთ სიმღერა როლანში დაკულია ისტორიული ამბავი, შარლემანის გალაშქრება ისპანიაში, მაგრამ შინაარსი ბევრად გამოგონებულია; თვით მთავარი გმირები არ გვანან ორიგინალებს. აქ საფრანგეთის საშუალო საუკუნეების ადამიანთა ურთიერთობა და მსოფლმხედველობა აწერილია ძველი სახელების ჩარჩოში. ცხადია ამ პოემებში ჩვენ საქმე გვაქვს არა პრიმიტიული ეპოქების ხალხებთან, არამედ დამწერთა თანამედროვე ევროპასან, მთელი მისი მრავალფეროვანი ყოფაცხოვრებით. ამ საკითხში დასავლეთის ლიტერატურაში დღეს არ არსებობს აზრთა არავითარი განსხვავება. რუსთაველმა გამოიგონა «ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი» და ამ საფარველს ქვეშ აგვიწერა მისი დროის საქართველოს სინამდვილე, ევროპის პოეტებმაკი თავის ქვეყანათა ასეთივე სინამდვილე მოგვცეს ძველი ლეგენდების სახით. ორივე შემთხვევაში საკითხისადმი მიდგომა დაახლოებით ერთნაირია. ამბავი ძველი, შინაარსი ახალი. წმინდა რუსთველურათ—საკითხს მიუდგა რამოდენიმე საუკუნის შემდეგ შექსპირი. ახალი გამოკვლევებით, რაცაც ამ ორი წლის წინეთ გამოვიდა ინგლისში, დამტკიცებულია რომ ჰამლეტში აწერილია არა დანიის სინამდვილე, არამედ თვით ინგლისის, მისი დროის სასახლის ამბები და ხნე ჩვეულებანი. ე. ი. «უცხო ამბების» სახით ავტორმა მოგვცა სამშობლო ამბები. თანამედროვე ცხოვრების სიდუხჭირის მხელა მსოფლიო ლიტერატურაში პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავთ იწყება გვიან, მე-17 საუკუნიდან, ევროპაში; ხოლო ჩვენსში კი გასულ საუკუნეში.


ჯერ გავიგოთ რა მსგავსება ვეფხისტყაოსანსა და სამ დასახელებულ პოემებს შორის. მთავარი მსგავსებაა ერთთ-ერთი: ყველა გმირები ერთმანეთს გვანან, ტარიელი იგივე როლანია, როლანი

იგივე ტრისტანი და სიგფრიდია. ყველა ისინი ერთნაირათ მამაცი, გულადი, ღონიერი და გამარჯვებულია. ამ ფიზიკურ უაღრესობას ახლავს მორალური უაღრესობაც. არიან კეთილშობილნი, პირდაპირნი, მტერს არ მიეპარებიან, თავდადებულნი, უშიშარნი, ყველა რაინდული სამკაულით. ამ მხრით, ტარიელი და ავთანდილი მათ დიდათ ჩამოუვარდებიან, არც ერთ მათგანს მიპარვით კაცი არ მოუკლავთ. დუელი მათი ბრძოლის ერთთ-ერთი გზაა როგორც ომში, ისე მშვიდობიანობაში. ჩვენებური რაინდობა უეჭველია სავსებით ვერ განთავისუფლდა პრიმიტიული დაუნდობლობისაგან. რასაკვირვლია, როლანის გვერდით არის განელონი, ცრუ და ღალატინი, სიგფრიდის გვერდით ჰაგენი, ბოროტი და მიპარვით მკვლელი, მაგრამ მთავარი გმირები, ე. ი. მისაბაძი პიროვნებანი, რაინდობის განსახიერებანი აღჭურვილია კეთილშობილური თვისებებით.

არის ერთი წვრიმალი მსგავსება. ტირიდი და ცრემლთა ფრქვევა სამივე ევროპულ პოემაში არის არა ნაკლები. ვინემ ვეფხ. ტყაოსანშია, განსაკუთრებით როლანის სიმღერაში. გპირი როლანი, მთელი ღამე-ღამე ხშირათ ტირიან. როცა დაბრუნებულ ჯარმა იხილა როლანის რახმის გაწყვეტა «არ ყოფილა არც ერთი ბარონი თუ რაინდი რომელიც მწუხარებით არ ატირებულყო». მეფე წვერებს იგლეჯს და იცრემლება. როცა ჯარი ბრუნდება სამშობლოში, სიხარულით ტირიან. როცა განელონის გასასმართლებლათ იმართება დუელი მის მომხრე და მოწინააღმდეგეს შორის, დამწრე «ასიათასი რაინდი ტირიან». ერთი სიტყვით ფრანგები გაცილებით მეტ გულჩვილობას იჩენენ ვინემ რუსთაველის ტიპში. მიზეზი კი სხვადასხვანაირია. ჩვენი პოეტი ხსნის მას: «სიყვარული ადამიანს ატირებს და აგულჩვილებსო»; ხოლო ფრანგულ პოემაში გულჩვილობის მიზეზია თითქმის ყველაფერი ის რაც ადამიანზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ტირილი ომის ველზე, სამშვიდობოში, სასამართლოში—ყოველგან.

აი ამ ორ მსგავსებათა გარდა, ყველა დანარჩენი მხარეები პოემებისა დიდათ განსხვავდება ერთი მეორისაგან. ერთ ხაზზე დგანან ევროპიელი, მეორეზე რუსთაველი და აგვიწერს სულიად სხვა და სხვა ურთიერთობას და მსოფლმხედველობას. დავიწყით სოციალური სტრუქტურებიდან, საზოგადოების აწერიდან, რომლის შვილები და მეთაურები გმირებია.

როლანის სიმღერაში შარლემანი ეთათბირება თავის ბარონებს, ე. ი. მემამულეთ, რომელთა რიცხვი ათას აღემატება. თათბირი იმართება არა დარბაზში, არამედ მუხის ძირში. ის მიმართავს ყრილობას: «ამირჩიეთ ერთი ბარონი, რომელსაც შეეძლოს მიტანა მასსილისათვის ჩემი პასუხის». ასეთივე საზოგადოება იკრიბება, რიცხვით მრავალთა-სიანი, მოალაატე განელონის გასასმართლებლათ.



ბრალმდებელათ დგება თვით მეფე; დიდი უმრავლესობა განელონის მომხრეა. მეფე გრძობს თავის თავს დამარცხებულათ და ამბობს: «რა უბედური ვყოფილვარ!»; მაგრამ მოულოდნელათ მის მხარეს იჭერს ერთი რაინდი და აძლევს წინადადებას— ღვთის განაჩენს მივედოთო. რაიცა ჩვეულებისამებრ უნდა გადაწყდეს დუელით; დამარცხებული ისჯებოდა, როგორც მტყუანი.

როგორც ხედავთ, აქ გამოყვანილი საზოგადოება არის წმინდა წყლის ფეოდალური საზოგადოება, სადაც მეფეს არავითარი დამოუკიდებელი ძალაუფლება არ აქვს, არ ყავს საკუთარი მოხელენი, საკუთარი სასამართლო, ყველაფერი დამოკიდებულია ბარონების ნება-სურვილზე; ასეთივე სახელმწიფო წყობილებაა დახატული ორ დანარჩენ პოემაში, ტრისტან და იზელტოსა და ნიბელუნგენში.

სრულიად სხვა საზოგადო ურთიერთობაა დახატული ვეფხის ტყაოსანში. აქ მეფე როსტევენი ეთაბირება ისეთ დიდ საკითხზე როგორიცაა ტახტის მემკვიდრეობა თავის ვაზირებს, ე. ი. მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებს. ის ისმენს მათ აზრს, ხოლო სწყვეტს თვითონ. ტარიელის გალაშქრება ხატაელთა წინააღმდეგ ხდება მისი გადაწყვეტილებით და მეფის დასტურით; ის ამირ-ბარათ ინიშნება თვით მეფის მიერ; მეფე-დედოფალი მასან თათბირობს ხვარამშას ბატონიშვილისათვის ნესტან დარეჯანის მითხოვებაზე. ყველგან, მთელ პოემაში სახელმწიფო წყობილება აწყობილია ერთნაირათ: უზენაესი ძალაუფლება ხელთ უპყრია მეფეს, რომელიც ბრძანებლობს თავისი მოხელეების სამუშაოებით. ეს არის მონარქიულ-მოხელური პოლიტიკური წყობა, რაიცა დასავლეთში თანდათან აღორძინდა მე-16 საუკუნიდან. რუსთაველს არ გამოუგონია მის მიერ დახატული საზოგადოება, მან ასწერა მხოლოდ ის რაც მის თვალის წინ ხდებოდა საქართველოში. თამარ-მეფის უზენაესობა სწორეთ მონარქიულ-მოხელურ წეს-წყობილებაში იხატებოდა. მართალია შემდეგ საუკუნოებში ის ინგრევა; დაუსრულებელ საგარეო შემოსევამ აწყვიტა დაბმული ანარქიული ძალები, იმარჯვებს დიდ-გვარიანთა დიქტრინა და მით ვეჭანებით უკან მკვდრებით აღდგენილი ფეოდალიზმისაკენ. ევროპა წინ მიდის, ჩვენ ერთ წერტილზე ვიყინებით. მაგრამ ისტორიული ფაქტია ის, რომ რუსთაველის ეპოქაში დასავლეთი იმყოფებოდა სრულ ფეოდალურ ურთიერთობაში, ჩვენსში კი ასეთი ურთიერთობა დაძლეული იყო და ნაციონალური მონარქია შექმნილი.

რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ამ ორ სინამდვილეს შორის, ცხადია მისი დროის ლიტერატურას უნდა აღენიშნა ეს და დაეხასიათებია მათი სხვა და სხვანაირი იდეოლოგია; და მართლაც, დასავლეთის პოემები ძირ-ბუდიანათ ნსხვადება ვეფხის-ტყაოსანისაგან თავისი მსოფლმხედველობით. აქ გამოყვანილი საზოგადოება იმყოფება ერთ საერთო სულიერ ატმოსფეროში: აქ ბატონობს რელიგია და თილისმა, საერთაშორისო საკითხს სწყვეტს არა სახელმწიფო მოსაზრება, არამედ ქრისტიანობის გავრცელების ინტერესი, რასაც თან ახლავს უქვევლათ

სასწაულებანიც. ამ რელიგიურ-თილისმურ რკალიდან ამოვიდა მხოლოდ რუსთაველი, ევროპიელნი კი ჩარჩენ შიგ სავესებით. აი მაგალითები.

შარლემანი ამარცხებს ისპანიში სარაზინელთ (არაბთ) და მათ ძალათ აქრისტიანებს, ვინც არ ქრისტიანდება—ხოცავს. მეფე მარსილს (მაჰმადიანს) ის უგზავნის ულტიმატუმს—თუ არ გაქრისტიანდები, ამოგხოცავთო. შარლემანმა აიღო ქალ. სარაგოსი, ღვლები აკურთხებენ სასმელ წყალს, შემდეგ მოყავთ ტყვე «წარმართნი» (ე. ი. მაჰმადიანნი) მოსანათლავთ, ურჩთ იქვე წვავენ კაცოვნაში. მონათლეს ასი ათასი და სხ. ფრანგთა ჯარი სავსეა მისიონერებით, ხუცებით და ეფისკოპოზებით. როლანის ზურვის ჯარს თავს დაესხმის არაბთა ჯარი; საკმარისია წინ-წასულის ლაშქრის დაბრუნება რომ მომხდურნი დამარცხდეს; როლანი კი არ უძახის მას იმ იმედით, რომ ის ქრისტიანია, ღმერთი მისკენა და ამიტომ უქვევლათ გაიმარჯვებს. მოხდა კი წინააღმდეგი, როლანი და მისი ჯარი გაანადგურეს. სიკვდილის წინ დაპირილი როლანი ლოცულობს: «წმინდაო ღმერთო, შენ იხსენი წმინდა ლაზარე სიკვდილისაგან, დანიელი ლომებისაგან, იხსენი ჩემი სული ყოველივე განსაცდელისაგან იმ ცოდვების გამო, რაიცა მე ჩავიდინე ჩემს ცხოვრებაში». მან გაუწოდა ღმერთს მარჯვენა ხელის ხელთათმანი, წმინდა გაბრიელმა ის ხელიდან გამოართვა». ეს აწერილი სცენა სავსებით ხატავს დასავლეთის საზოგადოების სული-კვეთებას.

ვეფხის ტყაოსანში რელიგიური მომენტი სრულიად არა სჩანს; ის იქიდან სავსებით განდევნილია. ტარიელი ომს აწარმოებს სახელმწიფო მოსაზრებით, ხატაელები არ უხდიდენ სახარაჯოს ხელშეკრულობის თანახმათ და საჭირო იყო მათი დასჯა. დამარცხებულ ჩინელთ გამარჯვებული ინდოელი თავის მაჰმადიანობას თავზე არ ახვევენ, არავითარ რელიგიურ ხასიათის ულტიმატუმებს არ უდგენენ. ამიტომ ტყვეებისადმი მოპყრობა ღმობიერია, ადამიანურია, არც ერთი მათგანი სიკვდილით არ ისჯება. ტარიელი არ ამბობს როლანივით ჩემი რჯული უქვევლათ მონაჩიქებს მტერებს გამარჯვებასო, პირიქით, ის საჩქაროთ იბარებს უკან ჩამორჩენილ ჯარს საშველათ და კიდევაც იმარჯვებს. მის ჯარში არ წარმოებს რაიმე რელიგიური პროპაგანდა, არც ურევია შიგ კულტის მსახურნი. ეს. რასაკვირელია, არ ნიშნავს პოეტის და მისი გმირების გულგრილობას სარწმუნოებისადმი ან მათ ურელიგიობას. უქვევლია ყველა ისინი მორწმუნენიც იყვენ და სასულიერო წოდების პატივისმცემენიც. მაგრამ მათ ეს არ მოაქვთ სახელმწიფო და საზოგადო საქმეების საზომათ. ამ სფეროში საკითხს სწყვეტს სარგებლობის, მიზანშეწონილობის მოსაზრება. თამარ მეფე გასომხებულ ქურთს, მხარგრძელს, წინ აყენებს მრავალ მართლმადიდებელ ქართველზე და იწვევს უდიდეს პასუხისმგებელ თანამდებობაზე, მას აბარებს ქვეყნის დაცვას. ე. ი. არც მოსამსახურეთა შერჩევაში თამაშობს როლს რელიგიური მოტივი. ასეთ ატმოსფეროში აღზრდილი რუსთაველი ცხადია თავის პოემას ააგებდა სავსებით სამოქალაქო ფუძენზე

დამით გასწყვეტდა კავშირს საშუალო საუკუნოე-
ბის მსოფლმხედველობასან.

ამ კავშირის გაწყვეტა გატარებულია ყველა
სფეროში, მთელ ხაზზე. რაკი ის მოშორდა რელი-
გიურ მოტივებს, ამით მოშორდა სასწაულებრივ
იდეოლოგიასაც. მთელ მის შრომაში არც ერთი მო-
ვლენა არ ჩნდება და არ ბლოკდება არაბუნებრი-
ვი, მისნიური ძალების ჩარევით. დასავლეთის პოე-
მებში კი ციური ძალები ფართოთ მოქმედებენ. შარ-
ლემანის ემზადება რა ომისათვის, ეხვეწება ღმერთს
«მზე გააჩეროს, დღე გააგრძელოს, დაღამება დააგ-
ვიანოს. ამ დროს ეცხადება ანგელოზი, ის რომელიც
ჩვეულებისამებრ მასან საუბრობს და ეუბნება:
შარლ, ცხენზე შეჯექი, საფრანგეთის ახალგაზდობის
ყვავილი დაკარგე, ღმერთმა ეს იცის, შენ შეგიძლია
შური იძიო. მეფე ცხენზე ჯდება, ღმერთი ახდენს
დიდ სასწაულებს, მზე ჩერდება, მტერი გარბის».
გაბრიელ ანგელოზი მუდამ თან ახლავს მეფეს და
მას აძლევს რჩევას, ესმარება ომში. ტრისტან და
იზალტოში კუდიანები თამაშობენ დიდ როლს; და-
ტყვევებული ტრისტანი თავისუფლდება ქარის სა-
შუალებით, რომელსაც ის ჯდება და გადაფრინ-
დება სამშვიდობოში. ნიბელუნგენში გამოყვანილია
ღმერთი ოდინის ქალიშვილი, რომელიც მამამ და-
საჯა მუდმივი ძილით და დააბინავა მუდმივ ცეცხლ-
ში გახვეულ ქალაქში. ნიბელუნგთა ხაზინის მცვე-
ლი გველ-ვეშაპი, რომელსაც კლავს სკანდინაველი
გმირი სიგურდი, საიდანაც იწყება შუდლი და ომი-
ანობა. გმირი სიგურდი იქცევა მის მეგობარ გუნს-
ტერთა, ამარცხებს მეომარ ქალიშვილს ბრუნჰილდს
და შემდეგ ისევ სიგურდიდათ გადაქცეული მას რთავს
ცოლათ გუნსტერს. ეს საიდუმლოება შემდეგ მუღვა-
ნდება და იზადება საშინელი ტრაგედია, მრავალი
მკვლელობით და სხ. და სხ. ერთი სიტყვით ზღაპრუ-
ლი სულით გაყლენთილია სამივე პოემა.

განსაკუთრებით საყურადღებოა სიყვარულის
გაგება და გატარება. რუსთაველის გმირებს შეუყ-
ვარდებათ ქალიშვილები ადამიანურათ, ჩვეულებ-
რივი გზით, როგორც ეს ხდება ცხვრებაში და იწე-
რება ყველა თანამედროვე რომანებში. «ქალსა შევ-
ხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა, დავეცი,
დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა», ამ-
ბობს ტარიელი. სიყვარულის ალი ედება მას უცებ,
გრიგალივით. ავთანდილს კი შეუყვარდება თინათინ
ნელ-ნელა, შორიდან, ორივე ფორმის მიჯნურობა
ხდება ბუნებრივით, ერთი მეორეზე გავლენით და
შთაბეჭდილებით. სულ სხვა სახისაა რომანიული
მხარე ევროპიული პოემებისა. სიმღერა როლანზე
ეპიკური პოემაა, რომანიული შინაარსის საგნებით
მოკლებულია; სამაგიეროთ ტრისტანი ნამდვილი
რომანია, თავიდან ბოლომდე სიყვარულის საფუძ-
ველზე აგებული. მეფე მარკი პოულობს თავის სა-
სახლის ავიანზე ოქროსფერ თმას, რომელიც ჩიტს
ნისკარტიდან დაუფარდა. თმა ისე მოეწონა, რომ გა-
დასწყვიტა მისი მატარებელი ქალიშვილის შერთვა;
ითაბობრა ბარანებთან და მიანდო ტრისტანს იმ
ქალის მონახვა და მის საცლოთ მოყვანა. ტრის-
ტანმა იცნო თმა და მოახსენა მეფეს, ოქროს თმიანი

ქალი არის ირლანდიის მეფის შვილი იზოლტო, რო-
მლის ბიძა მან დუელში მოკლა. მარკი აწყობს დიდ
დელეგაციას ტრისტანის მეთაურობით ირლანდიის
მეფესან. როგორც კი ისინი მიადგენ ირლანდიის
ნაპირებს გაიგონეს რალაც საშინელი მხეცის ღმუი-
ლი. გაიგეს რომ ის არის გველვეშაპი, რომლის გუ-
ლის მოვება და დაამება შეიძლება მხოლოთ ერთი
საშუალებით—ქალიშვილის მიცემით, რომელსაც
ის მაშინავე ყლაპავს. ირლანდიის მეფეს არა-ერთ-
ხელ გამოუცხადებია, რომ ვინც მოკლავს ამ მხეცს,
მას მიათხოვებს თავის იზოლტოს. მაგრამ მისი მომ-
რევი არავინ გამოჩნდა, მრავალი საუკეთესო რაინდი
დაეცა მხეცთან ბრძოლაში. ტრისტანი საქართ
შებბრძოლა გველ ვეშაპს, მოკლა ის და მოსთხოვა
მეფეს იზოლტოს, მაგრამ არა თავისათვის, არამედ
მეფე მარკის საცლოთ. მეფე თანხმდება, იზოლტო
მიყავთ საფრანგეთში. დედა მას აყოლებს ერთგულ
მოსამსახურე ქალს, რომელსაც საიდუმლოთ ატანს
თავის მიერ თილისმით შემზადებულ სასმელს და
არიგებს, ეს სასმელი დაალევიოს ქორწინების დღეს
იზოლტოს და მარკს, რის შემდეგ ისინი შეიყვარე-
ბენ ერთმანერთს «მუდამ, სიყვდილამდე». გზაში შე-
ცდომით ამ სიყვარულის ნექტარს სვამენ მოწყურე-
ბული ტრისტანი და იზოლტო. ამ დღიდან იწყება
მათი რომანი. სიყვარული ჩნდება არა ბუნებრივით,
არამედ ჯადოსნურათ. ორივე თავს კარგავს, გზაში-
ვე იჭერენ სქესობრივ კავშირს; ადგილზე მისვლის-
თანავე მარკი ირთავს ქალს ცოლათ, ხლოო ტრის-
ტანი განაგრძობს ჩუმათ მასან კავშირს. გმირი ტრი-
სტანი ხდება ცრუ, მატყუარა, მოღალატე და თან
თავს იმართლებს, რა ჩემი ბრალია, გზაში დალეულ
სასმელმა ისე შემიპყრო, რომ სხვანაირათ მოქცევა
ჩემს ხელთ არ არისო. ტრისტანი და იზოლტო იგი-
ვე ვის-რამიანია, არსებითი განსხვავება მათ შორის
არ არის. ნიბელუნგენშიაც თილისმური სასმელი
სიყვარულის მომცემია. ასეთი რწმენა უწყველია
ყოველგან იყო გავრცელებული საშუალო საუკუ-
ნოებში და შემდეგაც. ქართველ ხალხში ის დღე-
ვანდლამდის დარჩენილია. მაგრამ რუსთაველმა ამ
პრიმიტიულ ცრუმორწმუნობას გადააბიჯა, მას
არავითარი ანგარიში არ გაუწია და აგვიწერა სიყ-
ვარული როგორც ადამიანური ბუნებრივი მოვლე-
ნა; ევროპის დიდმა პოეტებმა კი პირიქით სწორეთ
ამ ცრუმორწმუნობაზე ააგეს თავისი რომანი და ის
გამოიტანეს რეალურ ფაქტორათ. რუსთველის ვინთ
ლაპარაკობს ნოდურჩინში, გოტფრიდ სტრასბურგე-
ლის და სხვათა ენით კი ძველის ძველი პრიმიტიუ-
ლი ლეგენდები.

რუსთაველს სიყვარული მიაჩნია ცოლ. ქმრობის,
ოჯახის საფუძვლათ. აქ შეყვარებულნი ქორწინდე-
ბიან. ევროპიულ პოემებში სიყვარულს არავითარი
მიზნობრივი კავშირი არ აქვს ცოლ-ქმრობასან.
იზოლტოს უყვარს ტრისტანი, თხოვდება კი სხვა
პირზე. ტრისტანს უყვარს იზოლტო, ქორწინდება
კი სხვა ქალზე, თუმცა მას აღარ «ექმარება». მთელ
ამ სქესობრივ არევედარევაში ქალი ხდება ცრუ,
მოღალატე, ვერაგი, ნდობას და პატივს მოკლებუ-
ლი. ნიბელუნგენში ჰააგენი კლავს სიგურდიდს; მისი



ქვრივი კრიმპელდი თხოვდება ჰუნთა მეფე ატილანზე, იმ მიზნით რომ შური იძიოს ჰააგენზე. ერთ დღეს ის სტუმრათ იწვევს ბურგუნდიის მეფეს და მის აზნაურობას ჰააგენით. ქეიფის დროს შემოარტყამს დარბაზში ჰუნებს და მოლაღატურათ ახოცვიებს ყველას, ჰააგენს კი კლავს თვითონ. ის აკვლიებს თავის ძმასაც, ჰააგენის მეგობარს. ეს საშინელი ამბავი ააშფოთებს ბარბაროს ატილასაც კი; ის დრტვინავს: «ღმერთო დიდებულო, დაიღუპა ერთი ქალის ხელით საუკეთესო მეომარი; თუმცა მე მისი მტერი ვარ, მაგრამ განვიციდი მაინც დიდ მწუხარებას». სასახლის უფროსი ჰილდებრანდი ხმალით კლავს დედოფალს, ხოლო ატილა დასტირის არა დედოფალს, არამედ ბრძოლაში დახოცილ ნათესავებს და ვასალებს... საზოგადოთ, ამ პოემების ქალები არიან ბოროტნი, ვერაგნი, სირცხვილს და ხამუს მოკლებულნი, ჭკვა თხელნი, შურით და ღვარძლით შეპყრობილნი. რა აქვთ საერთო ამთ ვეფხის ტყაოსნის ქალებთან? არავითარი, ორი სხვადასხვა ქვეყანაა, მათ შორის გარდაუვალი ზღვარია.

უქველია ბოროტი და უნამუსო ქალები ჩვენშიაც იყვენ, მაგრამ რუსთაველმა მოგვცა არა მარტო სინამდვილის აწერილობა, არამედ ამასთანავე დახატა იდეალიც, საუკეთესო ადამიანები, როგორც მისაბაძავი მაგალითი. მისი «დაიცვი», ე. ი. საეჭვო მორალის პატრონი ქალიც, კეთილშობილია, რაიცა კიდევაც დაამტკიცა ფატმანმა ნესტანდარეჯანის საქმეში. რუსთაველის შეხედულება ქალზე ძირიანათ განსხვავდება ტრისტანის ავტორთა შეხედულობისაგან. იქ ქალი კაცის სწორია, აქ კი ის სიამოვნების საგანია. ეს ძველი სპარსული აზროვნება, რაიცა გატარებულია ვისრამიანში, პირწმინდათ განმეორებულია ამ საუკეთესო ევროპულ რომანში. ეს ორი შორი-შორს დაწერილი თხზულება ერთი მეორეს გავს ტიპებით, მათი ხასიათით და ურთიერთისადმი დამოკიდებულებით. ცხადია, ამ მიმართულების რომანიული მწერლობა წარმოადგენდა იმ დროს მსოფლიო მოვლენას და არა მარტო კუთხურს და ადგილობრივს. ამ რკალიდან ერთათ ერთი რუსთაველი ამოვიდა.

ამ ნაითათ, საშუალო საუკუნის ევროპიული პოემების განხილვა ნათელ ყოფს ვეფხის ტყაოსანის ძირითად თვისებას: მკაცრათ გადაწყვეტას კავშირის თავისი ეპოქის საერთო მსოფლმხედველობასან ყველა სფეროში: პოლიტიკურათ, მორალურათ, იდეურათ. მას ახასიათებს: ბუნებრივობა, რეალიზმი, სამოქალაქო ჰანგები, მაღალი ზნეობა, ოპტიმიზმი. ის არის პირველი რომანი თანამედროვე მნიშვნელობით. როგორ მოხდა ეს? ვისი გავლენა განიცადა პოეტმა? რაკი მისი დროის მწერლობა არ იძლევა ამ მიმართულების მასალას, პირიქით, ყველა ცნობილი ლიტერატურული ძეგლები ანტირუსთაველურ საფუძველზეა აგებული, უნდა დავასკვნათ: პოეტის შემოქმედების წყარო თვით საქართველოა. აი აქ უნდა მოიძებნოს მისი ახალი იდეოლოგიის ფესვები...

ნ. ყორღანია.

უცხოეთის მიმოხილვა


ბრიტანეთის იმპერია.

ინგლისელები თავის იმპერიას კომონუელს ეძახიან, რაიცა სიტყვა-სიტყვით საერთო კეთილდღეობას მოასწავებს, სადაც ყოველი ძალმომრეობა გამორიცხულია. 12 მაის დაგვირგვინებული გიორგი მე-6 მხოლოდ ინდოეთის მიმართ ატარებს იმპერატორის სახელს, ხოლო საკუთრათ ინგლისის და დომინიონების მიმართ ის მარტოოდენ მეფეა. კენტერბერის არქიეპისკოპოსი, სანამ გვირგვინს დაადგამდეს მეფეს თავზე, დინჯად იხრის თავს აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთით, სადაც უდიდეს იმპერიის ნაწილები მდებარეობს თავისი ნახევარი მილიარდი მცხოვრებით, და აცხადებს: «ბატონებო, მე გირდგენთ თქვენ ამ ადგილიდან თქვენს უდავო მეფეს!»

და მეფეც წარმოთქვამს სიტყვას, მას უსმენს, რადიოს წყალობით, ხალხი იმპერიის ყველა კუთხიდან დღით, ღამით თუ აღიონზე, ისე შორი მანძილზეა ერთი მეორისაგან. «დომინიონები ესლა თავისუფალნი არიან და იმყოფებიან იმავე მდგომარეობაში, როგორშიდაც თვით ძველი სამეფო»—ამბობს გიორგი მე-6—«გვირგვინი არის მილიონთა ერთობის სიმბოლო. წყალობითა ღვთისათა და იმპერიის თავისუფალ ერთა ნებისყოფით მე ვიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას, რათა დავიცვა ღირსება და მთლიანობა იმპერიისა».

ეს სიტყვები შეიცავს ყველაფერს, რითაც ხასიათდება ბრიტანეთის კომონუელსი: დომინიონებს აერთიანებს მეტროპოლითან მხოლოდ გვირგვინი და მისი მატარებელი მეფობს და არა მართველობს, როგორც იტყვიან; არიან დამოუკიდებელნი ერთმანეთისაგან, ჰყავთ ყველგან თავისი ელჩები; სდებენ სელშეკრულებებს და მეფე ან მისი ნაცვალი ამტკიცებს, რასაც თვითელ ქვეყნის პრემიერი წარუდგენს და ესეც ხომ ხალხის მიერ არჩეულ უმრავლესობისაგან არის დაყენებული. მაგრამ მაინც არის ორი დარგი: საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, რომელსაც ყველანი ერთად და ცალცალკე აწარმოებენ რაც შეიძლება შეთანხმებით, რაც შეიძლება პარლამენტულად. დიდმა ომმა შვა იმპერია, ხოლო მოსალოდნელი ომი კიდევ უფრო ამტკიცებს, აფლადებს მას.

იმპერიას არ უწერია კონსტიტუცია, როგორც თვით ინგლისს; დრო გამომშვებით იკრიბებიან მისი წევრნი, იღებენ დადგენილებებს საპირბოროტო კითხვებზე და ასრულებენ. მეფე კისრულობს იმპერიის მთლიანობის დაცვას, მაშ, ცხადია, იურიდიულად თვითელი დომინიონი მოკლებულია უფლებას იმპერიას გამოეყოს,—მოსკოვს მართლა შეუძლია თავისი კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაიკვეხნოს! ნამდვილად კი სულ სხვა ვხედავთ. ირლანდიამ ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა და მეფე სულაც არ ახსენა იქ, რესპუბლიკად გამოაცხადა თავი. ინგლისი ამას აუღელვებლად შეხვდა, არც ფიქრობს ძალდატანებას და ეს პოლიტიკა უთუოდ ბევრ რამეს ჩააგონებს დე ვალერას, რომელიც ცხრაჯერ გა-



ზომავს, სანამ გადაჭრის. ამის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მან მაინც გააგზავნა თავისი წარმომადგენელი მეფის დაგვირგვინებაზე ლონდონში.

ინ დ ლ ე თ ი.

დაგვირგვინებას დაესწრო მრავალი შავ თუ წითელ-კანიაანი მეფე, ბელადი, დევრიში სხვადასხვა კოლონიებიდან და პროტექტორატებიდან. ინდოეთის დელეგაციას განსაკუთრებული ადგილი ექირა. რაჯები და მაჰარაჯები დიდ ყურადღებას იპყრობდნენ, იყვნენ აგრეთვე პროვინციულ მთავრობათა ზოგი მეთაურნი. არ იყვნენ მხოლოდ კონგრესისტები, განდის დანუპრუს მიმდევარნი. რას ნიშნავს ეს? ინდოეთი ამ უამად კონსტიტუციურ კრიზისს განიცდის. წელს შეუდგენ იქ ახალი კონსტიტუციის განხორციელებას. მოხდა არჩევნები და კონგრესისტებმა თერთმეტი პროვინციიდან ექვსში გაიმარჯვეს და თავისი მთავრობა არ აირჩიეს. რატომ? იმიტომ რომ მეფის ნაცვალად არ დაეთანხმა მათ, გუბერნატორის ვეტო გაეუქმებინა. გამოდის, ამ რიგად, ამ ექვს პროვინციაში მთავრობა უმცირესობისაგან უნდა შეადგინონ, მაგრამ, ვინაიდან მას პარლამენტის ნდობა არ ექნება, გუბერნატორი იძულებული გახდება დაითხოვოს იგი და დეკრეტით იმართველოს. კონსტიტუციით ინდოეთი იყოფა 11 დიდ პროვინციად, თვითუფლებიან პარლამენტს და მთავრობას; შემდეგ ყველა ეს პროვინციები შეადგენენ ერთ ფედერაციას საერთო პარლამენტითა და მთავრობით. კონგრესისტები სრულს დამოუკიდებლობას მოითხოვენ; ინგლისელები კი პირდებიან დომინიონების უფლებას, ხოლო ჯერ კიდევ ასეთი ფართე თვითმართველობა ვცადოთ...

ე გ ვ ი ბ ტ მ.

ფარაონების ქვეყანა, ათასეული წლების შემდეგ, ისევ სრულიად დამოუკიდებელ, უზენაეს სახელმწიფოდ იქცა და ამ ორიოდ კვირის შემდეგ ერთა ლიგაში შევა, როგორც ასეთი. განა ის შიგნით დამოუკიდებელი იყო, მაგრამ მას კიდევ აწვა კისერზედ ძველი დამცირების ზოგიერთი პრივილეგიები უცხოელთა სასარგებლოდ: კაბიტულაციები. რას ნიშნავს ეს? უცხოელი, უკეთ-ევროპელი არ ემორჩილებოდა მის კანონებს, სასამართლოს, აღმინისტრაციას და ცხოვრობდა კი იქ გამუდმებით, მდიდრდებოდა მის ხარჯზე. ხელისუფლება, რომელიც თავის ტერიტორიის ყველა მცხოვრებლებზე ვერ ავრცელებს თავის გაგლენას, არ არის დამოუკიდებელი. და ეს კი ასე იყო საუკუნოები, როცა ეგვიპტე ოსმალეთის ხელქვეით იყო. როცა ის ინგლისის ხელში გადავიდა, მაშინვე დაისვა კითხვა კაბიტულაციების მოსპობაზე, და ეს სწორედ ესლა იქცა ფაქტად: მონტრეს კონფერენცია გააუქმა იგი, ხოლო პრაქტიკულად 12 წლის განმავლობაში თანდათან შევა ახალი მდგომარეობა ძალაში. ეგვიპტეს მუდმივი სამხედრო კავშირი აქვს ინგლისთან, უკანასკნელს უფლება მიეცა მცირე ჯარი იყოლიოს სუეცის არხთან, სუდანიც ისევ საერთო მფლობელობად იქცა ორთავე სახელმწიფოსი და სხ. ასე დასრულდა მწვავე დავა და ბრძოლა მათ შორის.

ბ ე ლ გ ი ა.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიას, ბელგიამ დაგვანახა. იგი თავის ნებით გამოვიდა საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო კავშირიდან და ამისათვის, თითქო საჩუქრად, საფრანგეთი და ინგლისი წერილობით უცხადებენ მას, რომ თავზე იღებენ ბელგიის დაცვას, თუ ვინიცობაა რომელიმე სახელმწიფო დაესხამას. ბელგია იღებს მხოლოდ ერთ ვალდებულებას: ყოველი ძალოვნით დაიცვას თავისი ტერიტორია. კარგი დაგემართოს: თავი დაიცავი და ჩვენც დაგეხმარებითო, ხოლო ჩვენ თუ დაგვეხენ, შენ არა ხარ ვალდებული დაგვეხმარო! საინტერესოა, რომ ეს პოლიტიკა ჩაატარა ბელგიის საგარეო მინისტრმა სპაკმა, რომელსაც ამისათვის, დე მანთან ერთად, ნაციონალური სოციალისტი დაეჭქვა. ვანდერველდე გავიდა სამინისტროდან, მაგრამ ისიც იძულებული შეიქნა, როგორც მთელი მუშათა პარტია, ეს ახალი ხაზი დაედასტურებინა.

რას სწავიან სომხური გაუფთხობა

თურქეთ-იტალიის დაახლოვება.

«არაჩ» 1937 წ. 18 თებ. გაზეთი ეხება რა თურქეთის და იტალიის მინისტრების შეხვედრას მილანოში, ამბობს: «შესაძლებელია იტალია შეეცადა, რომ თურქეთი დაინტერესებულიყო კავკასიის პერსპექტივებით. ვინც ფიქრობს რუსეთთან ანგარიშის გასწორებას და თურქეთს დაუახლოვდეს, ყოველთვის უკანასკნელს კავკასიაზე მიუთითებს. ასე ერთ დროს უცხოეთში იმის ხმები იყო, რომ იაპონია თურქეთს კავკასიას ჰპირდებოდა.

თურქეთის პასუხი არ ვიცით, მაგრამ პრესის რწმუნებით თურქეთს რაღაც გეგმები უნდა ჰქონდეს კავკასიის შესახებ. მილანოს შეხვედრას არ შეეძლო რაიმე დადებითი შედეგის მოტანა. ვიდრე რუსეთის ფლოტისთვის არსებობს შესაძლებლობა დარდანელზე გავლისა, იტალია მონტრეს შეთანხმებას ხელს არ მოაწერს, და ვერც ანკარა დაახწევს თავს მოსკოვის პროტექტორატს».

«აირენიკი» 1937 წ. 7 თებერვალი. გაზეთი არკვევს იმ შიშს, რომელსაც განიცდის დღეს თურქეთი რთულ საერთაშორისო მდგომარეობისა გამო და სწერს: «დიდის დაკვირვებით უნდა ვადევნოთ თვალყური თურქეთის და იტალიის დაახლოვებას, რადგან როცა მათი დამეგობრება მიალწევს იმ წერტილს, რომლისკენ მიისწრაფვის რომი, და შეუქველია, ბერლინიც, ამას ექნება გადაწყვეტი მნიშვნელობა მთელი კავკასიისთვის და კერძოდ სომხეთისთვის. რაც უფრო გულითადი იქნება თურქეთ-იტალიის დაახლოვება, მით უფრო შენელებს თურქეთ-რუსეთის დამოკიდებულება. ამას ალბად მოყვება ის, რომ შეიცვლება მოსკოვის ანტისომხური პოლიტიკა არამც თუ კავკასიაში, არამედ უცხოეთშიც».

იგივე გაზეთი, 9 თებერვალი. გაიხსენებს ერთი ამერიკული გაზეთის თეირანელის კორესპონდენტის ცნობას: რუსეთს ეშინია, ვაი თუ, ომი რომ მო-



მეჩამანული პრესა უაჩყოფს საზოგადოებრივ დახმარებას

ხდეს, თურქეთი გერმანია-პოლონეთ-იაპონიას მიემხროს და ამიერ-კავკასია დაიპყროს, ამიტომ ცდილობს კავკასიელ ერების გული მოიგოს, რომ მათის დახმარებით წინააღმდეგს თურქეთს. გახეთი ფიქრობს, რომ ეს ცნობა ჯერჯერობით ნამდვილი არაა. ხოლო რასაც ის გულისხმობს, შესაძლებელია შესრულდეს. ჯერჯერობით თურქეთი ვერ ბედავს აშკარად მიემხროს საბჭოთა საწინამდებარე ფორმას. მოსკოვიც ყველაფერს უთმობს ანკარას, რომ მისი მეგობრობა არ დაკარგოს: ეროვნულ მიდრეკილების სომეხ-კომუნისტების დენა, ხანჯიანის მოკვლა, ახალქალაქის, ყარაბაღის და ნახჭევანის ჩამოჭრა სომხეთზე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაშლა—ეს სულ თურქეთის დასაკმაყოფილებლად იყო განხორციელებული. მაგრამ ეს ვერ დააკავებს ანკარას, ვინაიდან «იტალიის მეგობრობა თურქეთისთვის სამკვიდრო-სასიცოცხლო საკითხია, მოსკოვის მეგობრობა კი მას დღეს არაფერს მისცემს და პირიქით კიდევ ავნებს». აი როცა ეს მოხდება (იტალიის და თურქეთის დამეგობრება), «მოსკოვი იძულებული შეიქნება დაიმეგობროს კავკასიის ერები და კერძოდ სომხები, რათა ამის საშუალებით შეინარჩუნოს თავისი პოზიციები ამიერ-კავკასიაში. მაშინ მოსკოვი დაინახავს, რომ ყველაზე უფრო საიმედო ანტითურქული ელემენტები არიან სომხები და ის იძულებული გახდება შესცვალოს თავისი ანტიომხური პოლიტიკა».

კიდევ კავკასიის ერთობის შესახებ.

«აირენიკ» 1937 წ. 10 მარტი: «სამწუხაროდ იზმი-რის უბედურებისა და ლოზანის კონფერენციის შემდეგ ჩვენმა კავკასიელმა მეზობლებმა უარყვეს 1921 წ. პაქტი, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს ერთობას და თანამშრომლობას და უერთებდა ჩვენს სამშობლოს თუნდაც თურქეთის სომხეთის ნაწილს; და დაარსეს უჩვენოდ ეგრედ წოდებული «პრომეთეს ჯგუფი». დაშნაკუთხნი ებრძოდა ამ დაჯგუფებას და ცდილობდა კავკასიელების თავის მოყრას 1921 წ. პაქტის გარშემო, რომელსაც სთვლიდა ერთად ერთ ნიადაგად თანამშრომლობისთვის. მხოლოდ შარშან მოხერხდა სომეხ ქართველთა უნიონის დაარსება, რომლის ბაზაა ყველა კავკასიელის თანამშრომლობა და რომელსაც უნდა დანარჩენ კავკასიელების შეყვანა თავის კავშირში. აქედან ცხადია, რომ სომხების თანამშრომლობა კავკასიაში სხვებთან შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში, თუ სხვა ჩვენი მეზობლებიც ისე, როგორც ქართველები, შეიგნებენ, რომ კავკასიის მტერია არა მხოლოდ რუსეთი, არამედ თურქეთიც, რომლისაგან სომხები სამართლიანად მოითხოვენ მიწებს. ზედმეტია ამის აღნიშვნა, რომ რამდენად ჩვენ გაგამაგრებთ კავშირს ჩვენს მეზობლებთან, მით უფრო განმტკიცდება ჩვენი მდგომარეობა, მით უფრო გაადვილდება თურქეთ-სომხეთის საკითხის განხორციელების საქმე. კავკასიის ერთა კავშირი მხოლოდ ხელს შეუწყობს თურქეთ-სომხეთის საკითხის გადაჭრას».

ევროპის არაგერმანულ პრესას ელვასავით მოეძვრა ცნობა ბერლინსა და მოსკოვს შორის თითქოს მომხდარი საიდუმლო პოლიტიკურ-მილიტარული კავშირის შესახებ. ეს სენსაციური ცნობა ვრცელდებოდა უცხოეთის პრესაში გასულ აპრილის 20-ელი პირველი ნახევრის განმავლობაში. მისი ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ნაციონალ-სოციალისტური ბერლინი და ბოლშევიკური მოსკოვი შეკავშირდნენ ბისმარკისეული «ურთიერთ დახმარების» იდეის ნიადაგზე და რომ ეს კავშირი უპირველესად მიმართულია პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოების წინამდებარე. დასძენდნენ თან, რომ ეს კავშირი გერმანელი კაპიტალისტების და სამხედრო წრეების (განსაკუთრებით ლიუდენდორფის) დაქინებით თხოვნის თუ მოთხოვნის შედეგია.

ჩვენ არ ვიცით, თუ რას ეყრდნობდნენ საბოლოოდ აღნიშნული ცნობის ავტორები. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ გერმანულმა ოფიციალურმა წრეებმა და პრესამ მათ ერთი საბუთი მისცეს: თავისი ხანგრძლივი სიჩუმე. გერმანული პრესის მკითხველებმა მხოლოდ 18 აპრილს გაიგეს მთელი ეს აურ-ზაური. ეს სიჩუმე შეიძლება იყოს ერთგვარი ეჭვის ამდებრელი. ხოლო 18 აპრილს მთელმა გერმანულმა პრესამ გააკეთა კატეგორიული დემანტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს ე. ი. უპირველესი ოფიციალური «ფელქიშერ ბეზახტერ»-ის პასუხი.

«ფ. ბ.» აღშფოთებით უარყოფს მთელ ამ ცნობას, უწოდებს რა მას მორიგ პროვოკაციას. იმ განსაკუთრებით სდებს ბრალს ფრანგულ გაზეთ «ევრ»-ის ცნობილ საგარეო-პოლიტიკურ რედაქტორ ქალს. «ფ. ბ.»-ს მოყავს ამონაწერები უცხოეთის პრესიდან პირველი აპრილიდან თუთხმეტამდის. აცხადებს მათ სრულ სიყალბედ და თავისი პოლიტიკური პოზიციის გასაშუქებლად აქვეყნებს თავისივე საგარეო პოლიტიკური რედაქტორის ბ. ვალტერ შმიტტის წერილს: «გერმანია და აღმოსავლეთი».

ამ წერილში ბ. შმიტტი ჯერ ეხება ცნობის გავრცელების მიზეზებს. მისი კათეგორიული მტკიცებით ეს მიზეზებია მხოლოდ და მხოლოდ: 1) გერმანიისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების სურვილი—გადაამტერონ გერმანიას პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები; 2) ცნობილი ფრანგულ-ჩეხური პოლიტიკური წრეების სურვილი—მათივე მოსკოვთან ჩამოგდებული პაქტების მიზეზით შექმნილი საერთო უკმაყოფილება შეანელოს და ისინი საზოგადოებრივი აზრისთვის მისაღები გახადონ; 3) იმავე წრეების სურვილი—აიძულონ გერმანია, რომ მკაცრი დემანტი გააკეთოს და ამით დამოკიდებულება ბერლინსა და მოსკოვს შორის კიდევ უფრო გაამწვავონ. შემდეგ ბ. შმიტტი ეხება საკითხს არსებითად.

«გერმანიისთვის—ამბობს ის—მსოფლიო ომის დასასრულს უმნიშვნელოვანესი ფაქტი მისი სააღ-

მოსავლეთო პოლიტიკისა შეიქნა ის გარემოება, რომ ერთი მენობლის ადგილი დაიჭირა მთელმარობმა სახელმწიფოებმა, რომელთა შორის უდიდესი არის პოლონეთი. პოლონეთის სახელმწიფოს დაარსების შესახებ პარტულ თანამედროვეთა შეუძლიათ ოფიციალურ აქტებში წაიკითხონ. მათ ყოველ შემთხვევაში არ შეუძლიათ უარყონ, რომ პოლონეთის დამოუკიდებელი არსებობის აუცილებლობა გერმანიამ თვით მსოფლიო ომის დროს იცნო და რომ პოლონეთის სახელმწიფო გერმანიულმა უწყებებმა დაარსეს. ნაციონალ სოციალისტური საგარეო პოლიტიკა ამ ტრადიციას განაგრძობს; ახალი გერმანია მუდამ, პრინციპიალურად და ყოველგვარ პირობათა გარეშე ხაზგასმით აღიარებს პოლონეთის აუცილებლობას»...

უკვე ამ სრულიად ახალი მდგომარეობის გამო ბ. შმიტის სიტყვით ბისმარკის «ურთიერთ დახლვევის» იდეა სრულიად არ შეეფერება თანამედროვე სინამდვილეს და საბოლოოდ წარსულს ეკუთვნის.

«მეორე გადამჭრელი მნიშვნელობის ფაქტი აღმოსავლეთის ვითარების შეცვლაში—განაგრძობს ავტორი—არის ბოლშევიზმის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოსკოვის სახელმწიფოში»...

გერმანული ოფიციალური რედაქტორი აღნიშნავს, რომ მოსკოვის ბოლშევიკური ძალაუფლება არის უპირველესად მსოფლიო რევოლუციის აპარატი, რომელიც გარეშე ქვეყნებში მუდმივ შეიარაღებულ ინტერვენციას აწარმოებს;

რომ ის წარმოადგენს «ცენტრალურ ბიუროს იმ მსოფლიო მოძრაობისა, რომლის პრინციპია ევროპის კულტურის დანგრევა და განადგურება»;

რომ მას არაფერი აქვს საერთო იმ ადამიანთა მილიონებთან, რომლებზედაც ის თავის «სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირში» ბატონობს;

რომ მისი მიზანია ევროპის ერთა და სახელმწიფოთა სრული ათქვეფა და მათზე ბოლშევიკური ძალაუფლების დამყარება.

«უკვე ამ მიზეზით—ამბობს ავტორი—არის საბჭოთა სისტემა წინამდებელი ყოველივე ხალხსუნურ-ნაციონალური კულტურების და მიდრეკილებების ქვეშარტი გაძლიერების თავის საკუთარ სამდობლოში. ურიცხვ სისხლიან ხოცვა-ჟლეტაში იქნენ მოსკოვის მიერ ჩახრჩობილი ყველა ის გამოსვლები და აჯანყებები, რომლებითაც აღმოსავლეთის ერებს თავიანთი თვითგამორკვევის მოპოება სურდათ. ხოლო თვითეული ხალხსუნურ-ნაციონალური პოლიტიკოსი და ამით თვითეული ქვეშარტი ევროპიელი სწორედ ამ ერებში უნდა ხედავდეს ნამდვილ ცოცხალ საფუძვლად მომავალი ევროპიული აღმოსავლეთისა და უნდა აღიარებდეს მათი არსებობის უფლებას. მაგრამ ვიდრე მოსკოვში წითელი ინტერნაციონალი მეფობს, მანამდის აღმოსავლეთის ერების არსებობა მუდამ საფრთხეში იქნება, რადგან მათ მუდმივ ემუქრება ბოლშევიზმი თავისი განადგურების ყინით. ამიტომაც ამ საბჭოთა სახელმწიფოს არასოდეს შეუძლია ქვეშარტი შინაგანი

მშვიდობიანობის დამყარება; ის მუდამ უნდა დარჩეს მუქარის და არეულობის ელემენტად ევროპიული პოლიტიკისთვის; განსაკუთრებით იმ მომენტებში, როცა ის—იქნებ თავისი საზოგადოებრივი აზრის ყურადღების შინაგან კრიზისისგან მოსაშორებლად—მსოფლიო რევოლუციურ მოძალადურ აქტებს და სამხედრო ინტერვენციებს მიმართავს».

ამრიგად ბერლინის ოფიციალური აქამპარად და საჯაროდ აღიარებს მოსკოვის მიერ დამონებული ერების თვითგამორკვევის უფლებას და სთვლის ამ საკითხს მთელი აწინდელი ევროპიული საღმრთაღმოსავლეთო პოლიტიკის საფუძვლად. თუ არ ვცდებით, ეს პირველი შემთხვევა არის ამ სახის. სასურველია, რომ ის უკანასკნელი არ იქნეს და რომ ამრიგად გერმანიამ მომავალში ის შეცდომები არ დაუშვას, რომელთა შესახებ მცხოვანი პროფესორი რობინსონი აგრე მჭერმეტყველად მოგვითხრობდა (იხ. «დაბ. საქ.» № 132).

ბერლინი და მოსკოვი

1937 წლის პირველი მეოთხედი ახალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მომენტებს ბერლინ მოსკოვის დამოკიდებულებაში არ იძლევა. გრძელდება მსოფლიო ჩვეულებრივი პოლემიკა პრესაში და ზანტი დიპლომატიური ჭიდილი ცნობილ საერთაშორისო სადავო საკითხების გარშემო, რომელთა შორის ესპანეთის საკითხი კვლავ პირველ რიგშია.

სხვა დღიური მოვლენებიც შესაფერად ცხოველ გაშუქებას პოულობს გერმანულ პრესაში. მაგალითად ორჯონიკიძის უეცარი სიკვდილი მთელ რიგ გერმანულ გაზეთში იყო აღნიშნული როგორც საქართველოს მოღალატის და მისი ჯალათის სიკვდილი. იავოდას დატუსაღებაც ცხადია გვარიანი სახესნაციო მასალაა. მაგრამ მთელი ეს საპრესო და იდეოლოგიური ბრძოლა ჩვეულებრივი პროპაგანდის ფარგლებს არ შორდება, ის მკითხველისთვისაც შეჩვეული რამ არის და საერთოდ კი აღნიშნულ პერიოდს ბერლინ-მოსკოვის პოლიტიკურ დამოკიდებულებათა სფეროში შეიძლება ერთგვარი მიყუჩების პერიოდიც ეწოდოს.

ამავე დროს ყურადღებას იპყრობს ეკონომიური დამოკიდებულების საკითხები, რომელთა მოსაგვარებლად წასულ წელში მთელი რიგი ზომა იქნა მიღებული. გერმანიის ეკონომიური ურჩალ განვითები აქვეყნებენ საინტერესო მასალებს და მიმოხილვებს. განსაკუთრებით, ცნობილი თვითური ურჩალეები: «ოსტ-ევროპა» (აღმოსავლეთი ევროპა), რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მთავარი გამშუქებელი ორგანოა გერმანიისთვის; «ოსტ-ევროპა-მარკტ» (აღმოსავლეთ ევროპის ბაზარი), რომელიც სპეციალურად სავაჭრო დამოკიდებულებებს აშუქებს. და «დი ოსტვირ-შაფტ» (აღმოსავლეთის მეურნეობა), რომელიც გერმანიის სარუსეთო ეკონომიური კომიტეტის ორგანოა და უმთავრესად სათანადო სტატისტიკურ მასალებს აქვეყნებს. გადავავლოთ თვალი ამ მასალებს.

წარსულ სამ წელში საბჭოთა კავშირის და გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულება განისაზღვრებოდა შემდეგი ციფრებით (მილიონ მარკებში):

| | | | |
|---------------------------------|---------|---------|---------|
| | 1934 წ. | 1935 წ. | 1936 წ. |
| საბჭ. კავ. ს. გაუტ. გერმანიიდან | 63,3 | 39,3 | 126,1 |
| გერმ. გაუტ. საბჭ. კავშირიდან | 233,0 | 201,7 | 93,2 |
| ურთიერთ ექსპორტ-იმპ. ჯამი | 296,3 | 241,0 | 219,3 |

საბჭოთა კავშირის იმპორტი გერმანიიდან, რომელიც 1935 წ. საგრძნობლად დაცემულა, გაცილებით უფრო მეტი სიძლიერით აწეულა 1936 წელში. ის ამ უკანასკნელ წელში წინა წლის იმპორტის სამმაგზე მეტს და 1934 წლის ორმაგს უდრის. რით აიხსნება ასეთი სწრაფი ზრდა სწორედ მაშინ, როცა გერმანიის ინდუსტრია თავისი საკუთარი სახელმწიფოს შეკვეთებით არაჩვეულებრივად დატვირთულია? გერმანიის სახელმწიფოს საღაროში უცხო ვალუტის სიმცირით. გერმანია იძულებულია რაც შეიძლება მეტი გაყიდოს და ნაკლები იყიდოს, რომ უცხო ვალუტა არ დასჭირდეს. ის ცდილობს რუსეთთან სავაჭრო ბალანსი, რომელიც, როგორც ვხედავთ ძლიერ პასიური იყო, წონასწორობაში მოიყვანოს ან აქტიური გახადოს. სწორედ ამ მიზნით გერმანიამ, რომელსაც საბჭოთა კავშირის ნედლი მასალა მეტად სჭირდება, 1935 წლის 9 აპრილის ხელშეკრულებით მისცა მას ხუთი წლის ვადით 200 მილიონი მარკის საქონლის კრედიტი, რამაც მოსკოვს გერმანიიდან იმპორტი მეტად გაუადვილა. საბჭოთა კავშირიც იმდენად მოკლებულია საკუთარ ინდუსტრიულ ძალღონეს, საჭირო საქარხნო მანქანების გამოშვების საქმეში, რომ თვით «მოსისხლე მტერი» ხელს უწყობს და ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის ინდუსტრიული პროდუქციის გასაღებას ხელს უწყობს.

გერმანიის ექსპორტი რუსეთში, დღეს სტატისტიკაში მიღებული დანაწილების მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს (მილიონ მარკებში):

| | | |
|-------------------------------------|---------|---------|
| | 1935 წ. | 1936 წ. |
| 1) ცხოველები, სურს. და სასმელები | 0 | 0 |
| 2) ნედლი მასალა და ნახ.-ფაბრიკატები | 3 | 13 |
| 3) ფაბრიკატები | 36 | 113 |
| სულ | 39 | 126 |

ფაბრიკატებში მანქანები შეადგენენ 73 მილ. მარკის ღირებულებას ე. ი. თითქმის ორმესამედს, მაშინ როცა 1935 წელში შეადგენდნენ 12 მილიონ მარკას ე. ი. ერთ მესამედზე ნაკლებს.

საბჭოთა კავშირის ექსპორტის დაცემა აიხსნება ორი მიზეზით: რეპრესიების პოლიტიკით და საბჭოთა კავშირის მძიმე მოუსავლობით.

საბჭოთა კავშირთან არსებული პასიური სავაჭრო ბალანსის გამოსასწორებლად გერმანიამ მოსთხოვა მას, მისგან (გერმანიისაგან) აღებული ფულის გერმანიაშივე დატოვება შეკვეთებისთვის. მოსკოვი ჯერ უარზე დადგა და როცა ამის გამო გერმანიამ თავისი შეკვეთები შეამცირა, მოსკოვმა 1936 წლის დასაწყისში გერმანიისთვის მეტად საჭირო ნედლ მასალაზედ თითქმის პირდაპირი ემბარგო დაადო. მაგრამ მალე, 1936 წლის 29 აპრილს დადებულ იქნა ახალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელმაც დაამ-

ყარა საქონლის ნაღდად ვაცვლა-გამოცვლის დროს ფულის გაქვითვის წესები და რომელიც საერთოდ სავაჭრო ბალანსის წონასწორობას ემსახურება. ამ ხელშეკრულების ძალით 200 მილიონიანი საქონლის კრედიტის ამოწურვის ვადა, რომელიც თავიდან 1936 წლის 31 მარტს უნდა გათავებულიყო და მალე ერთი წლით გაგრძელებულ იქნა, 1937 წლის ბოლომდე გადავიდა. ამით მოსკოვს საშვალემა მიეცა აღნიშნული კრედიტის გამოზოგვის. ამითვე გაადვილდა ურთიერთ ექსპორტ-იმპორტის ერთმანეთთან დაახლოება. მაგრამ მარტო ეს გარემოება მოსკოვ-ბერლინის სავაჭრო ბალანსის მიმართულებას ასე რადიკალურად ვერ შეცვლიდა. როგორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ მას ზედ არ დართოდა საბჭოთა კავშირის დიდი მოუსავლობა 1936 წელს. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ერთი უმთავრესი საქსპორტო სახსარი მისი სოფლის მეურნეობის ნაწარმოებია.

საბჭოთა კავშირის ექსპორტი გერმანიაში ასე ნაწილდება (მილიონ მარკებში):

| | | |
|------------------------------------|---------|---------|
| | 1935 წ. | 1936 წ. |
| 1) ცხოველები, სურს. და სასმელები | 35 | 2 |
| 2) ნედლი მას. და ნახევარ-ფაბრიკატ. | 150 | 84 |
| 3) ფაბრიკატები | 16 | 7 |
| სულ | 201,7 | 93,2 |

ამ ცხრილის პირველი რუბრიკა ცხადია ერთად სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთაგან შესდგება. მაგრამ მეორეშიც ისინი მეტად საგრძნობ ნაწილს შეადგენენ. ამ მეორე რუბრიკის მთავარი მუხლებია (მილიონ მარკებში):

| | | |
|--------------------------|---------|---------|
| | 1935 წ. | 1936 წ. |
| სელი, კანაფი და სხვ. | 13,0 | 1,0 |
| პირუტყვის სასუქი | 16,6 | 0,5 |
| ტყავი და ბეწვები | 6,0 | 3,0 |
| საშენი და სათლელი ხე-ტყე | 27,0 | 28,0 |
| შეშა და ცელულოზა | 31,9 | 22,5 |
| ნავთურობა | 21,6 | 16,7 |
| მარგანეცი | 5,9 | 0,9 |
| პლატინა | 2,3 | 0,5 |

და სხვა.

სოფლის ნაწარმოებთა საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში გაზიდვის კატასტროფული დაცემა აშკარაა. მაგრამ სხვა ნედლი მასალების გაზიდვაც საგრძნობლად დაცემულა. ამათში პირველ რიგში მარგანეცის, შემდეგ პლატინის, შეშა ცელულოზის და ნავთის. ერთადერთი ბედნიერ გამონაკლისს შეადგენს საშენი და სათლელი ხე-ტყე, რომლის გერმანიაში გაზიდვა კიდევ გაზრდილა.

საბჭოთა კავშირის იმპორტი მილიონ ოქროს მანეთებში:

| | | | |
|-------------------------|---------|---------|---------|
| | 1934 წ. | 1935 წ. | 1936 წ. |
| ინგლისიდან | 202 | 189 | 204 |
| გერმანიიდან | 128 | 92 | 308 |
| ჩ. ა. შეერთ. შტატებიდან | 79 | 128 | 209 |
| ბელგიიდან | 31 | 40 | 47 |
| საფრანგეთიდან | 53 | 79 | 42 |

ამ ცხრილიდან ვხედავთ უკანასკნელი სამი წლის საბჭოთა იმპორტის საერთო ზრდის სურათს, რომ-

მელიც წემოდაც ვიხილეთ. ვხედავთ აგრეთვე, რომ გასულ წელში არც ერთი სახელმწიფოს მონაწილეობა ისე სწრაფად არ გაზრდილა როგორც გერმანიის, რომელსაც 1934 წელში მეორე ადგილი ეჭირა, 1935 წელში მესამე, ხოლო 1936 წ. უკვე პირველი.

გერმანული სტატისტიკური უწყებების გამოანგარიშებით, საბჭოთა კავშირისთვის საქონლის უმთავრეს მიმწოდებელთა პროცენტული მონაწილეობა საბჭოთა იმპორტის ღირებულებაში 1936 წელს იყო შემდეგი:

| | |
|-----------|------------|
| გერმანიის | 22,1 პროც. |
| ინგლისის | 15,4 „ |
| ირანის | 6,0 „ |
| ჰოლანდიის | 5,3 „ |
| იაპონიის | 4,8 „ |

ამავე წელში საბჭოთა ექსპორტის უმთავრესი მუშტრები იყვნენ:

| | |
|------------------|------------|
| ინგლისი | 25,9 პროც. |
| ჩ. ა. შვედრ. შტ. | 9,9 „ |
| გერმანია | 9,2 „ |
| ბელგია და ლიუქს. | 8,0 „ |
| საფრანგეთი | 6,7 „ |

ყველა ეს ციფრი აშკარად გვიჩვენებს გერმანიის უაღრესად დიდ მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობისთვის.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის მონაწილეობა გერმანიის საგარეო ვაჭრობაში იყო ღირებულების მიხედვით:

| | 1934 წ. | 1935 წ. | 1936 წ. |
|--------------------|---------|---------|---------|
| გერმანიის იმპორტი | 4,7 პრ. | 5,2 პრ. | 2,2 პრ. |
| გერმანიის ექსპორტი | 1,5 პრ. | 0,9 პრ. | 2,7 პრ. |

ყურადღებას იპყრობს ამ ციფრების თვალსაჩინო სიახლოვე იმ დიდ როლთან შედარებით, რომელსაც გერმანია საბჭოთა ვაჭრობაში თამაშობს.

თვით პატარა ჰოლანდიის როლიც გერმანიის საგარეო ვაჭრობაში გაცილებით უფრო დიდია. ვინემ უზარმაზარი საბჭოთა კავშირის. სახელდობრ:

| | 1934 წ. | 1935 წ. | 1936 წ. |
|---------------------|----------|---------|---------|
| გერმანიის იმპორტში | 5,9 პრ. | 4,7 პრ. | 4,0 პრ. |
| გერმანიის ექსპორტში | 11,5 პრ. | 9,5 პრ. | 8,3 პრ. |

მიუხედავად ჰოლანდიის მონაწილეობის ხვედრითი წონის საგრძობი დაცემისა 1936 წელში, ის მაინც ორჯერ თუ სამჯერ მეტია ვინემ საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა გერმანიის საგარეო ვაჭრობაში. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიისთვის ევროპის სხვა სახელმწიფოებს, მაგალითად ევროპის სამხრეთ აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, რომელნიც მას სწორედსაბჭოთა კავშირით სურსათს და ნედლ მასალას აწვდიან, მისგანკი ინდუსტრიის ნაწარმებს იძენენ.

მოკლედ, გერმანია საბჭოთა კავშირისთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვინემ საბჭოთა კავშირი გერმანიისთვის. შესაძლებელი კონფლიქტის დროსაც გერმანიის დანაკარგი ამ მხრივ გაცილებით უფრო ნაკლებად საგრძობი იქნება, ვინემ საბჭოთა კავშირის, თუ რასაკვირველია გერმანია სხვა მხრიდანაც განმარტოებული არ დარჩა.

დასკვნა. მიუხედავად დიდი პოლიტიკურ-იდეო-

ლოგიური წინააღმდეგობისა, ეკონომიური ურთიერთობა ბერლინსა და მოსკოვს შორის ჯერ კიდევ არა ურიგოდ წარმოებს. ამ ურთიერთობაში გერმანიის როლი უფრო აქტიურია ვინემ საბჭოთა კავშირის. ყოველ შემთხვევაში გერმანია მოსკოვის ერთი უპირველესი კონტრაპენტაგანია, ინგლისის გვერდით. მართლდება გერმანული ანდაზა: «ფრანგი არ გვიყვარს, მაგრამ ფრანგული ღვინო კი». ბოლშევიკები არ უყვართ, მაგრამ მათი ფული და საქონელი კი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ვითარებას როლის თამაში არ შეეძლოს. პირიქით ის ხშირად გავლენას ახდენს ალემიციუმობაზე და რაკი მასში შეიძლება უფრო ძლიერი ეკონომიური მოტივიც იქნეს ჩამარხული, ამით მას გადამჭრელი როლის თამაშიც შეუძლია. ამ მხრივ გერმანია ყოველ შემთხვევაში უფრო დამოუკიდებელია, ვინემ საბჭოთა კავშირი.

Y.

პროფ. სლავინსკის მოხსენება

უკრაინელ პროფესორის ბ. სლავინსკის მოხსენება, რომელიც შესდგა 8 აპრილს, საფრანგეთის გეოგრაფიულ საზოგადოების დარბაზში, მრავალ მხრივ იყო საყურადღებო და ღირსშესანიშნავი. უწინარესად ყოვლისა ეს იყო ახდილად და საჯაროდ დაყენება ემიგრაციის წინაშე საბჭოთა რუსეთის საზღვრებში მომწყვდეულ ერების პრობლემის. მოხსენების საგანი სწორედ ასეთი იყო. რასაკვირველია, ამ საგანზე მრავალ საჯარო გამოსვლას ჰქონდა ადგილი ემიგრაციაში მისი არსებობის მანძილზე. ამ საკითხს ხშირად შეგებია რუსეთის დაპყრობილ ერთა წარმომადგენელნი და უკანასკნელ დროს ამ საკითხზე ფრიად ფრთხილსა და მორცხვ გამოსვლებს აკეთებენ თვით ველიკოროსთა ემიგრანტული წრეები. სლავინსკის მოხსენება ერთგვარი დაგვირგვინება იყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ ერთა წარმომადგენლების ცალ-ცალკე გამოსვლების, რადგან ის მთლიანად ეხებოდა ყველა ამ ერის პრობლემას და მეორეს მხრივ, ეს მოხსენება გაიმართა დასახელებულ ერთა ერთ ერთ საკავშირო ორგანიზაციის—კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის მეგობრულ კავშირის მიერ. ამ საზოგადოებამ, როგორც ვიცით, ბევრი მოხსენება და საუბარი მოაწყო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და მათ შორის ფრიად ფართე ხასიათის—ცნობილ ყურნალისტებისა—ყან მარტენისა და ბრიკისა. ასეთი საზოგადოების მიერ და ასეთს თემაზე გაკეთებულ მოხსენებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ხანად, როდესაც რუსულ წრეებიდან დაიხილებით ისმის ერთგვარი შეკითხვები თუ წინადადებები და რჩევები საბჭოთა რუსეთის დაპყრობილ ერთა «სადავო საკითხებზე» მოლაპარაკების საუბრობების შესახებ. სლავინსკის მოხსენება გარკვეულსა და ნათელს პასუხს იძლევა ასეთს შეკითხვებზე.

კრების თავმჯდომარემ ბ. აკაკი ჩხენკელმა მოკლედ გააცნო საზოგადოებას პატივცემული ლექტორი, რომელიც ორმოცი წლის მანძილზე ემსახურება ამ «ეროვნულ პრობლემას» და უკრაინულ ერის საქმეს და თვით კერენსკის მთავრობის დროს იყო მიწვეული თვითმმართველობათა საკითხის გამძლეობად. მოხსენება იყო წაკითხული დიდის ხელოვნებით, ხოლო შინაარსი მისი იყო ფრიად დამაჯერებელი და დასაბუთებული. პროფ. სლავინსკიმ მოკლედ დაახასიათა რუსეთის იმპერიული ისტორიის განვითარების გზები—თუ როგორ ადვილად და იოლად იზრდებოდა და ფართოვდებოდა იგი, თუ როგორ მექანიკური იყო ეს მისი ზრდა და როგორ ბეცი და უვიცი იყო იმპერიის მეთაური წრე იმპერიის და მის შემადგენელ ნაწილების ინტერესებისა და საქიროების შეგნების საქმეში. პროფ. სლავინსკიმ ფრიად ორიგინალურად გააშუქა ასეთი არაღებრივი საფუძვლებზე აშენებულ იმპერიის ინტელიგენტურ წრეთა ბუნება. საიმპერიო ინტელიგენცია თითქმის ემყარებოდა მთელს იმპერიას და მის მიზნებსა და არა იმპერიის შემადგენელ ნაწილებს. ამ წრეში აქა იქ არა რუსთა ელემენტებიც ვერ იყვნენ, მაგრამ ამით ერთი ფენი მტკიცედ ედგათ თავის საკუთარ ეროვნულს ცხოვრებაში და მხოლოდ მეორეს ადგამდნენ საიმპერიო ნიადაგს, ისიც კარიერისა და არა იდეალურის მოსაზრებებით. როდესაც იმპერია შეტორტმანდა და შემდეგ დაიმსხვრა, ეს არარუსი ელემენტები თავის ნაციონალურ სექტორში აღმოჩნდნენ საკმაოდ ფეხებ გამდგარი და მოშინაურებული, ხოლო რუსული ინტელიგენციას ასეთი კავშირიც არ ჰქონდა თავის ერთან და ის აღმოჩნდა ცხოვრებიდან სავესებით გარიყული და განდევნილი. ამ გარემოებამ შესაფერისი მიმართულება მისცა თვით რევოლიუციას და მის მიერ გამოწვეულ მოვლენებს. ველიკოროსიის საზღვრებში რევოლუციამ მიიღო წმინდა სოციალური ხასიათი და ეს დღემდე ამ გზით მიდის. ამავე დროს არარუს ერთა შორის რევოლუცია დაიწყო ეროვნულ ხაზზე და შემდეგაც ეროვნული და სოციალური შინაარსი ერთად თავსდება. პროფ. სლავინსკი იმედინად უყურებს თვით ამ მძიმე ეპოქას, ბლოშევიკური ბატონობის ხანას, რომელმაც ვერ შესძლო კავკასიის, უკრაინის, თურქესტანის, ბელარუსიის, ყაზახთა და სხ. ერების ნებისყოფის დამორჩილება და ბოლოს თვით გახდა იძულებული მას დაჰყვეს და დაუთმოს. ამ წყობის კატასტროფა, როგორი ხასიათის არ უნდა იყოს იგი, მყის გამოიწვევს საბჭოთა რუსეთის დაყოფას მის შემადგენელ ეროვნულ ნაწილებად. პროფ. სლავინსკის მეტად აღონებს ის გარემოება, რომ ველიკოროსიის პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ ვერ შეუფენიათ, რომ რუსეთშიც სრულდება ის პროცესი, რომელიც ევროპის ქვეყნებში უკვე დასრულდა კარგა ხანია—ეს არის ერების განთავისუფლება და მათი სახელმწიფოებრივი მოწყობა. მომხსენებელი ფიქრობს, რომ თვით ველიკოროსებისთვის იქნება სასარგებლო, უკეთუ ჩვენ მშვიდობიანად დავშორდებით ერთმანეთს, რადგან ველიკოროსია თავის თავად იქნება დიდი სახელმწიფო და სავესებით

ჯანსაღი, თუ იგი თავის ეროვნულ ფარგლებში იქნა მოქცეული.

მრავალრიცხოვან საზოგადოებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა პატივცემულ მომხსენებელს. მოხსენებას დაესწრნენ რუსულ დაჯგუფებათა წარმომადგენელიც. იყვენ მემარჯვენეთა, რესპუბლ. დემოკრატიულ და სოციალისტურ წრეებიდან. ამთვან საპასუხოდ მხოლოდ გურვეიჩი გამოვიდა, სოც.რევოლ. ერთ-ერთი მეთაური. იგი მეტად მგრძობიარედ მიუდგა საკითხს. უუკრაინოდ რუსეთის არსებობა შეუძლებლად მიაჩნია, ამავე დროს ეს უკრაინა ხომ საერთო აკვანია ამ ორი და ძმისა, ასე იყო წარსულში და შეიძლება ასევე უკრაინიდან დაიწყოს ახალი რუსეთის აღდგენაო, მაგრამ ეს რუსეთი არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო წინედ. ველიკოროსებმა სამუდამოდ უნდა დასთმონ თავისი იმპერიული ისტორიის ზანხვები და სხვა ერებმაც უნდა მიიღონ მისთან თანასწორობის ნიადაგზე კავშირი და ძმობა, როგორც ეს არის ბრიტანეთის კავშირშიო. ერთი სიტყვით ბ. გურვეიჩმა ყველას შესთავაზა დომინიონობა, ბრიტანეთის ყაიდაზე. მან მოაგონა მომხსენებელს განვლილი წლები, ომისა და რევოლუციის ხანა, როდესაც მას და მრავალ სხვა არარუს ერთა წარმომადგენლებს შესაძლებლად იჩინდათ რუსეთის გარდაქმნა ახალ წესზე, ახალ ნიადაგზე. ამაზე მომხსენებელმა მოკლედ უპასუხა, რომ ყოველივე ეს ასე იყო იმ დროს, მაგრამ მას შემდეგ ძლიერ ბევრი რამ შეიცვალა ამ ერთა ცხოვრებაში და თვით ველიკოროსთა ვითარებამიო. ამ ხანად ყველაზე უფრო გონიერი და მიზანშეწონილი იქნება ერთმანეთის დაშორება «პო დობრო, პო ზღოროვო». მაგრამ, სამწუხაროდ, მე არ მწამს, რომ ეს ასე მოხდება და შესაძლოა კიდევ მრავალი მსხვერპლის გაღება დასჯირდეთ საბჭოთა კავშირის ერებს, სანამ თავის მიზანს საბოლოოდ და მტკიცედ გაანადგებდნენო.

თავმჯდომარემ, ბ. ჩხენკელმა დიდი მადლობა გამოუთქვამა მომხსენებელს საზოგადოების საქელით და თან აღნიშნა ის გარემოება, რომ რუსული წრეები ჯეროვანად ვერ გამოეხმაურნენ ასეთ მნიშვნელოვან გამოსვლას. შესაძლოა, ეს წრეები თავის იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის მეთაურთა პოლიტიკა უზრუნველყოფს მთლიანი რუსეთის არსებობას, მაგრამ ეს წრეები ამაში უთუოდ ტყვილდებიან, რადგან ეს სისტემა საერთოდ და მისი ეროვნული პოლიტიკა უდღეოა და განწირული.

აღ—ნი.

შვილი ამერიკიდან

შევრთებულ შტატების კონსტიტუციის ძალით მართველობა შესდგება სამი ორგანოსაგან: სამოსამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი. უკანასკნელი არის პრეზიდენტი თავის კაბინეტით, რომელსაც ირჩევს თანახმად კონსტიტუციისა «სენატის რჩევით და თანხმობით».

კანონმდებელი ორგანო ან კონგრესი შესდგება

ორი ნაწილისაგან: სენატი (უმადლესი პალატა) 96 წევრით და წარმომადგენელთა სახლი (ქვედა პალატა) 435 წევრით. სენატორებს ირჩევს ორ-ორს ყოველი შტატი, მიუხედავად მცხოვრებთა რიცხვისა, ექვსი წლის ვადით; ხოლო ქვედა პალატის წევრებს ირჩევენ ორი წლით, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით.—ყოველ 279.000 მცხოვრებს ყავს თითო წარმომადგენელი.

უმადლესი სასამართლო, რომლის ფუნქცია არის «კანონის ინტერპრეტაცია», შესდგება ცხრა მსაჯულისაგან, რომელთაც ნიშნავს პრეზიდენტი (როცა რომელიმე წევრი მოკვდება) «სენატის რჩევით და თანხმობით», მთელი სიცოცხლით ან «სენამ კარგი მოქცევისა არიან».

აი ეს უკანასკნელი ორგანო, ე. ი. უმადლესი სასამართლო დღეს გახდა ცენტრი მითქმა-მოთქმისა, საგანი დისკუსიისა. ეს ცხრა პატივცემული მსაჯული დღეს მთელი ნაციის და ადმინისტრაციის განსჯის ქვეშაა. აგერ მესამე თვეა, რაც დღედაღამ იმართება მიტინგები, იკითხება ლექციები სხვადასხვა კალუბრებში და რადიო სადგურებში, იწერება ყურნალ გაზეთებში მათი უფლებების დასაცავად თუ წინამდევ.

ეს ალიაქოთი, რომლის მსგავსი არც ერთ პოლიტიკურ კითხვას არ აღუძრავს—ატეხა პრეზიდენტ რუზველტის მიმართვამ კონგრესისადმი რომელსაც წინადადება მისცა ახალი კანონის გამოსაცემად, რომ ორგანოს წევრთა რიცხვი გადიდდეს თუ თმეტამდე, წევრების წლოვანობის მიხედვით—როცა რომელიმე წევრი სამოცდაათ წელს გადააცილებს და სამსახურს თავს არ დაანებებს, პრეზიდენტს უფლება ჰქონდეს ახლების მომატების (კონსტიტუციის ძალით «ძველის» დათხოვა არ შეიძლება). ასეთი ცვლილება პრეზიდენტის აზრით საქმეს დააჩქარებს და უმადლეს სასამართლოს «ახალ სისხლს» მოუმატებს.

ამერიკელების აზრით ეს კითხვა უდიდესი პრობლემაა. პრეზიდენტის მომხრენი და მოწინააღმდეგენი თითქმის შუაშია გაყოფილი. პრესიდან სჩანს, რომ უფრო კონგრესის უმეტესობა პრეზიდენტს უჭერს მხარს. კონგრესში ვერ ამ კითხვაზე კამათი არ დაწყებულა, მხოლოდ სენატის მიერ თავის წრიდან არჩეული სპეციალური კომისია აწარმოებს მუშაობას და იწვევს დასაკითხავად მომხრე და მოწინააღმდეგე გამოჩენილ იურისტებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ამბობენ, თვით კომისია შუაშია გაყოფილი და თავის დასკვნას კონგრესს ვერ წარუდგენს და ისე მთელი კითხვა კონგრესს გადაეცემა საკამათოდ. მოსალოდნელია, რომ კონგრესი ამ კითხვაშიც პრეზიდენტს დაუჭერს მხარს ისე, როგორც აქამდის იყო, თუმცა ეს ადვილი არ ექნება, რადგან რესპუბლიკანელების გარდა იქ ზოგიერთი დემოკრატებიც არიან წინამდევნი.

რამ გამოიწვია ასეთი ზომები? რატომ პრეზიდენტი რუზველტი უპირებს ასეთ პატივცემულ და ხელშეუხლებელ ორგანოს რადიკალურ რეფორმას?

საქმე ისაა, რომ რუზველტის ახალი ლიბერალური კანონების უმეტესი ნაწილი უმადლეს სასამართლომ უკანონოდ გამოაცხადა. მაგალითად, ეგრედ წოდებული ახალი რეკონსტრუქციის აქტი, რომელს სხვადასხვა აქტები და კოდექსები მოყვა და რომელიც კონგრესმა მიიღო, უმადლეს სასამართლომ უკანონოდ იცნო.

რასაკვირველია, სასამართლოს პირდაპირ არ დაუდგენია, რომ ახალი კანონები უკანონო არისო, არამედ ცალკე პიროვნების ან კორპორაციის აღძრულ საჩივარზე გამოტანილი განაჩენები უმეტეს შემთხვევებში მთავრობის კანონების წინამდევ იყო. როცა რუზველტი მეორედ დიდი უმრავლესობით იქნა არჩეული, განიზრახა მისი კანონმდებლობის «გამაბათილებელი» ორგანოს რეორგანიზაცია.

ცხრა მსაჯულში ოთხი დაახლოვებით 75 წლი საა და ერთი 80-სა პრეზიდენტის აზრით ეს მოხუცებულები არიან კონსერვატორები, პროგრესის წინამდევნი და ამიტომ უფრო ახალგაზდები უნდა მიემატოს.

პრეზიდენტის რბილ დახასიათებას დისკუსიებში მოყვა ყოველნაირი სიტყვების და ფრაზების მხარება. წიგნიც გამოვიდა, რომლის სახელია «ცხრა მოხუცებული». ამ თემაზე დღესაც აუარებელი ითქმება და იწერება მომხრე და მოწინააღმდეგეების მიერ. მოწინააღმდეგენი ამბობენ: ერთი რომ ეს თვით კონსტიტუციის შეხება არისო, პრეზიდენტს უნდა დიქტატორული წესით თავის აზრები გაიყვანოს და უმადლესი სასამართლო, რომელიც დარაჯად უდგას სიმართლეს და თავისუფლებას, უნდა თავისი მომხრეებით გაავსოს და დაიმორჩილოსო. მეორე, მოხუცებულობა აქ არაფერ შვაშია, მაგალითად ყველაზე უფროსი მსაჯული ბ. ბრანდისი 80 წლისაა და მუდამ განაჩენის გამოტანის დროს ლიბერალურ აზრის მხარეზე არისო. ამასთან ისტორიიდან მოყავთ აუარებელი მაგალითი, თუ მოხუცებულებს რამდენი გაუკეთებიათ კაცობრიობისთვის: მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, ფილოსოფოსებს და პოლიტიკოსებს. მაგალითად, გალილეო იყო 75 წლისა, როცა მთვარის მოძრაობის კანონი აღმოაჩინა. ვოლტერი იყო 83 წლისა. როცა ტრადელია «Irene» დასწერა. გიოთე იყო 80 წლისა, როცა «ფაუსტი» დაამთავრა. პიუგო იყო 80 წლისა, როცა მისმა «ტორქვემადა»-მ საფრანგეთი გააკვირვა. ტიციანმა თავის საუკეთესო სურათი «ომი ლეპანტოსთან» დახატა, როცა იყო 98 წლისა, კანტი იყო 75 წლისა, როცა დაწერა «მეტაფიზიკა და ეთიკა» და ანთროპოლოგია». კლემანსო იყო 79 წლისა, როცა ვერსალის ხავს ხელი მოაწერა. გლასტონი იყო 83 წლისა, როცა მეოთხეჯერ იქნა არჩეული პრემიერად. მოხუცებულნი იყვნენ იაპონიის დენერლები: ნოდი, კუროკი, ოიამა და ოკუ, როცა რუსეთი დაამარცხეს. პინდერბურგი იყო 67 წლისა 1914 წელში... და სხვა. არის წიგნიც რომლის სახელია: «ადამიანის ცხოვრება იწყება ორმოცი წლიდან».

ნაურო.

26 მაისი

წერილი საქართველოდან

26 მაისი გვაგვალავს ყველას, ვიყოთ უფრო ძმურად, შევექნათ ერთობა ქართველი ერისა, შევდგეთ, გავხედოთ ერთი მთელი როგორც შიგნით, ისე გარედ. წარსულის გაკვეთილი საუკეთესო იარაღია მომავლის გამარჯვებისათვის. უნდა გონიერი და ფიზიკური ანალიზი გაუკეთოთ წარსულს, რომ მძვინვარეობა არ შეეცდეთ, ილიუზია ავიცილოთ თავიდან. მოვეპყროთ ჩვენს საქმეს მეტი სერიოზულობით და მეტი სიყვარულით. რამდენად ჩვენ ვიქნებით და რაზმულნი და გვექნება ძლიერი სიყვარული ჩვენს სამშობლოსი იმდენად მივახწვეთ ჩვენს მიზანს.

26 მაისით სულდგმულობს ქართველი ერი და ჩვენ უნდა შევეწიროთ ამ დიად საქმეს. დაღონება არ გვარგებს: ვინც იბრძვის, ის ცოცხლობს. ვინც სუსტია ბრძოლაში, ის მოკვდა, აღარ არსებობს. ჩვენთვის კი საჭიროა არა სიკვდილი, არა უიმედობა, არამედ სიცოცხლე, წინსვლა, ბრძოლა, ბრძოლა ქართველი ერის არსებობისათვის, მისი აშენებისათვის.

ცალ-ცალკე ჯგუფური გამოსვლა, ერთმანეთის მტრობა, კინკლაობა სამარეს უთხრის ჩვენს საქმეს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეოდეს ერთგულ დისციპლინას, სადაც დისციპლინა არ არსებობს იქ გამარჯვება შეუძლებელია, მე ვიტყვი თამამად, ცხოვრებაც აღარ შეიძლება. უნდა ვებრძოდეთ და ქსაქვას სასტიკად, ვინაიდან დამარცხებას გვიქადის. ყველა უნდა ებრძოდეს მტერს ერთი აზრით, მათი ენერგია უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ მტრის წინააღმდეგ.

საჭიროა ყველა შევეერთდეთ 26 მაისის გარშემო დარაზმული ეროვნულად და აგრე გავაჩაღოთ ნაციონალური ბრძოლა ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ქართველებო! 26 მაისი ქართველი ხალხის დროა. 26 მაისი ქართველი ერის აღდგომაა ჩვენი ისტორიის გამოთვლება. და ქართველებმა ყველაფერი უნდა ვანაცვალოთ 26 მაისს! ძირს დაღონება და უიმედობა! წინ შედგარად! ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის.

გაუმარჯოს ქართველ ერის ერთობას.
ვარ. გუნია.

*) უადგილობისა გამო იბეჭდება შემოკლებით.
რედ.

26 მაისი პარიზში

ოთხშაბათს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-19 წლის თავზე, საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობა მოაწყო საღამოს—მიღებას Jean-Goujon-ის დარბაზში, 8 rue Jean-Goujon. მიღება დაიწყო საღამოს 8 ნახ. საათზე.

აქაური, ეგრედ წოდებული, ტროცკისტების დატუსაღება ბუდუ მდივანის მეთაურობით თქვენ უკვე იცით. დატუსაღებული იყო კიდევ ორმოცამდე კომუნისტი, მაგრამ უკანასკნელ დღეებში მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება დატუსაღების შეჩერებისა; ახლა ვტყობილობთ, რომ ამ განკარგულების მთავარი ავტორი ყოფილა ორჯონიკიძე, რომელსაც სტალინის ჩუმად მოუხერხებია ბრძანების გამოგზავნა და სტალინი ამნაირად დაუყენებია ფაქტის წინაშე.

მოსალოდნელი იყო დატყვევებულთა წინააღმდეგ გაიმართებოდა კამპანია, როგორც ეს ჩვეულებად აქვს ხელისუფლებას. ეს კიდევაც დაიწყო: თებერვლის პირველ რიცხვებში გამოქონდათ რეზოლიუციები და ითხოვდნენ ყველა «ტროცკისტების» განადგურებას, მაგრამ ეს რეზოლიუციები განეთებში არ იბეჭდებოდა, — უბეჭველია ელოდნენ დირექტივებს მოსკოვიდან. უეცრად ეს პროტესტებიც შეწყდა. როგორ მოხდა ეს, — კარგად არავინ უწყის. ესეც ორჯონიკიძის გავლენას მიაწერეს. თუმცა კომუნისტურ წრეებში ეს საეჭვოდ მიაჩნიათ. გამოძიება დატყვევებულთა შესახებ წარმოებს მეტად სიღუმითად, დღემდე არ გამოცხადებულა არაფერი ოფიციალური ცნობა ამის შესახებ, ამიტომ აქ ყოველნაირი მითქმა მოთქმაა; გამოძიება სწარმოებს ბერიას პირდაპირი ხელმძღვანელობით და დაკითხვის ოქმები დაუყონებლივ იგზავნება მოსკოვში. აქ გავრცელდა ხმა, რომ ს. ქავთარაძე ყველაფერში გამოტყდა და ვითომ გასცა ის ამხანაგები. ორმელნიც სტალინის და ბერიას მოკვლას აწყობდნენ, მაგრამ საკვირველია ის, რომ დატუსაღებული ამ ჩვენებასთან დაკავშირებით არავინაა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი ჩვენება ქავთარაძე არ მიუცია.

ახლა ირკვევა, რომ პროცესიც არ იქნება და დატუსაღებულნი პოლიციური წესით იქნებიან გაგზავნილი სალოვკებში; ეს ნიშნავს იმას, რომ დატყვევებულებისაგან ვერავითარი მასალა ვერ მიიღეს პროცესისათვის, ესე იგი ვერ გატეხეს და ხელი ვერ მოაწერეს მათ წინააღმდეგ შეთხზულ ბრალდებებზე.

აქ ბევრს ლაპარაკობენ ახალ ნაციონალურ პოლიტიკაზე. ჩვენის აზრით, ჩვენ საქმე გვაქვს არა მართლა ახალ ნაციონალურ პოლიტიკასთან, არამედ ახალ ტაქტიკასთან, ახალ მეთოდებთან ძველი პოლიტიკის გასატარებლად, ხოლო ეს პოლიტიკა მდგომარეობს უმთავრესად იმაში, რომ გაამარჯოს ძალაუფლება კომუნისტური მალა ფენების. როგორც იცით საბჭოთა ხელისუფლება აქნამდე ემყარებოდა მხოლოდ გეპეუს, პარტიას და არმიას. ახლა ირკვევა, რომ ყველა ეს საფუძველი შეირყა; კომუნისტური პარტია ირღვევა, იმაში აღმოჩნდა იმდენი «გადახრები» და ოპოზიციური ჯგუფები, რომ ძალიან ძნელი შეიქნა მათი გამორკვევა. ძველი ბოლშევიკები ან განადგურებულნი არიან, ან მოკლებულნი არიან ყოველსავე გავლენას; კომუნისტური ახალგაზდობა არ ხელმძღვანელობს რაიმე კეთილშობილური იდეალებით, — იგი ოცნებობს კარიერაზე.

«გეპეუ»-შიაც საქმეები არ უნდა იყოს რიგზე; ამბობენ, რომ «გეპეუ»-ში სრული არეგ-დარევაა,— იქ აღმოჩნდნენ უცხო სახელმწიფო ჯაშუშებიც კი. რაც შეეხება წითელ ჯარს, ხელმძღვანელთა შორისაც ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს; დანამდვილებით ამბობენ, რომ აღმოაჩინეს მათ შორის დიდი ფაშისტური შეთქმულობა, რომელიც ეწყობოდა ერთი უცხო სახელმწიფოს სუბსიდიებით. ამას მიუმატეთ ევრედ წოდებული «მაგნებლობა», რაიცა გამეფებულია ყველა სამეურნეო დარგში. ყველა ამ მიზეზის გამო მოსკოვის ხელისუფლება ახლა ეძებს ახალ საფუძველს, რაზედაც შეეძლოს დამყარება. ასეთ საფუძველად ამ უამად გამოცხადებულია ნაციონალური გრძობების გაღვივება ხალხში; დღიურ ღოზუნგებად წამოყენებულია სამშობლო და მშობლიური კულტურა. არ ვიცი, ეგ ღოზუნგები რა შედეგებს იძლევა სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში, მაგრამ აქ—საქართველოში—ის ასეთს შედეგებს იძლევა: ეს საქმე დაიწყო ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებით; საქართველო გამოცხადდა ცალკე ერთეულად, რომელიც პირდაპირ შედის კავშირში. ამის შემდეგ ხელისუფლება ცდილობს ხალხის ყურადღება მიაქციოს ქართული კულტურისაკენ. მან მოახდინა რეაბილიტაცია ძველი, დიდი ხანია ვადაცვლილ ქართველ მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. დაიწყო გამოცემა ძველი თხზულებების და მემუარების, გამართვა იუბილეების და სხვა. ყველა ეს ზომა ქართველის გულს ახარებს, მაგრამ იქნება დიდი შეცდომა იფიქროთ, რომ ეს ახდენს რაიმე გადატეხას ხალხში საოკუპაციო ხელისუფლების სასარგებლოდ.

მოხსენება საქართველოზე

(წვრილი პრადიდან)

უკრაინის გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ ნი. მართა ჩვენ თანამემამულეს ემ. ლომთათიძეს თხოვნით, წაეკითხა მას ლექცია საქართველოზე გიმნაზიის უმაღლეს კლასების მოწაფეთათვის. ასეთი მოხსენება შესდგა 16 აპრილს ქალ. რუყენიცაში (პრადიდან რამდენიმე ათეული კილომეტრია), სადაც ათი წელიწადია უკვე რაც არსებობს უკრაინის რეალური გიმნაზია ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ხარჯზე. მოხსენება სათაურით «საქართველოს ისტორიის მიმოხილვა» შეიცავდა ჩვენი ერის ისტორიას ერთი თვალის გადავლებით მე-11 საუკუნიდან ქრ. დაბად. დღევანდლამდის. მომხსენებელი შეჩერდა უმთავრესად ქრისტიანობის გავრცელების ხანაზე ჩვენში, ოქროს დროზე, აღნიშნა ხანა დაცემის, მაგრამ თავდადებული და მოუსვენარი ბრძოლის ეროვნული დამოუკიდებლობის და კულტურის შენახვისათვის. მოიხსენია ორივე ხელშეკრულება რუსეთთან დადებისა და დაათვა დამოუკიდებლობის ხანით და დღევანდელი ბრძოლის აღნიშვნით.

სურათები ზოგიერთი ჩვენი ძველი ეკლესიების, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ილია-აკაკის და ნ. ყორღანიასი, რომლებიც

მომხსენებელმა წარუდგინა მსმენელთ დასათვალიერებლად, იწვევდა დიდ სიამოვნებას და სიხარულს. უნდა ითქვას, რომ ამ მოხსენებამ, რომელსაც დაესწრო 5-8 კლასის ახალგაზრდობა (60 მოწაფე) ვაყები და ქალები, და რამდენიმე პროფესორი დირექტორის მეთაურობით, მოახდინა სრულიად მოულოდნელი შთაბეჭდილება და გამოიწვია მსმენელებში არა ჩვეულებრივი ინტერესი საქართველოსი.

ლექციის დამთავრების შემდეგ მოწაფეები შემოესივნენ მომხსენებელს და აძლევდნენ სხვადასხვა კითხვებს, სთხოვეს წაკითხვა რამდენიმე ადგილის ქართული «ვეფხ. ტყ.»-დან, ჩაწერა ზოგიერთი თქმულებების მათ რვეულში ქართულად ლათინური ასოებით, მომხსენებლის სახელით და გვარით ქართული ასოებით, რაც სიამოვნებითვე იქნა შესრულებული. ლომთათიძემ დაათვა მოხსენება თომა მასარიკის სიტყვებით, ორმოცი წლის წინედ რომ მიმართა ჩების ერს: «ევრაფიითარი ძალა ამ ქვეყნად, თუნდ გაერთიანდეს მთელ ჯოჯოხეთთან, ვერ შესძლებს დაიმორჩილოს და დაიმორჩოს განათლებული, კეთილშობილი და მამაცი ერით».

მოხსენება წაკითხულ იქნა ჩეხურად, რომლის ცოდნა სავალდებულოა მოწაფეთათვის. რუსული კი სრულიად არ ესმით.

—ე.

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

მიმდინარე წლის განმავლობაში გამოვა შემდეგი წიგნები: არჩილი—თხზულებათა მეორე ტომი ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, პ. ინგოროყვა—«სვანეთის საისტორიო აქტები», ივ. ჯავახიშვილი «სიგელები მე-12-15 საუკუნეებისა»; «ომარიანი»—გ. ჯაკობიას რედაქციით, პ. ინგოროყვა—«ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტრაქტაქტი მე-12 საუკუნისა», «კარის გარიგება» (აღდგენილი დედანი) ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, «პეტრიწონის სემინარიის წესდება» ქართულ ენაზე და გ. წერეთლის «საქართველოს მუზეუმის ხალხური ძეგლები» (ქართული, რუსული და ინგლისური გამოცემები).

— ილ. ჭავჭავაძის საიუბილეო გამოფენა გაიხსნება 30 მაისს. მისი ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს პოეტ გ. ლეონიძეს. გამოფენას ექნება 42 განყოფილება.

— ქართველი მხატვრები ამზადებენ სურათს ილ. ჭავჭავაძის ცხოვრებიდან.

— ტფილისის ერთ-ერთ მოედანზე დაიდგმება რუსთაველის ძეგლი მ. მერაბიშვილის გეგმით, რომელმაც გაჯიბრებზე პირველი ჯილდო მიიღო. კვარცხლბეკზე აღმართული იქნება შოთას ქანდაკება თეთრი მარმალისაგან, ხუთი მეტრის სიმაღლით.

— იბეჭდება შ. ნუცუბიძის გამოკვლევა «საქართველოს კულტურა და რუსთაველი». ამავე საგანზე დაიბეჭდება მალე აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის და პ. ინგოროყვას მონოგრაფიები.